# ალია

70 ~~თეთრი~~

60 თეთრი

N44 2974/ 25 მარტი 2014 წ PRESS ფასი 60 თ

ორშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

გამოდის 1995 წლიდან

WWW.ALIA.GE

## რატომ ვერ მიიღო პარლამენტმა „ნაცპარტიის“ ამკრძალავი კანონპროექტი?



## რისთვის უნდა დაიბარონ ამერიკის ელჩი საგარეო საქმეთა სამინისტროში



## „როგორ მოხდა, რომ „ქართული ოცნების“ ფრაქციის ერთადერთი წევრი იყო კომისიის თავმჯდომარედ და ისიც გადააყენეს?“

რა ბრალდებებს პასუხობს ეკა ბესელია?



## რისთვის დააკავეს „პატრიოტთა ალიანსის“ პოლიტიკური მდივანი?



# სქემა, რომლითაც „ნაციონალები“ „მაიდანისთვის“ ემზადებიან




რომელ სამ კატეგორიას ამზადებენ დამტრყმელ ძალად?

# „კულუარები“ მთავარი პროკურატურიდან



ვის დაიბარებს გამოძიება დაკითხვაზე სააკაშვილის ოჯახის წევრებიდან?

# ჯავახეთის სომხები რუსულ პასპორტებს ითხოვენ?




ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრემიერ-მინისტრი ევროსაბჭოს პრეზიდენტს შეხვდა



მხარეებმა საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის თარიღზე ისაუბრეს. ღარიბაშვილის განმარტებით, მთავრობა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე რუსეთის მხრიდან ზეწოლის გაძლიერებას არ გამორიცხავს, თუმცა ამის მიუხედავად, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის კურსი არ შეიცვლება. აღნიშნულ კონტექსტში პრემიერ-მინისტრი ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე სოფლებში განვითარებულ მოვლენებს და ე.წ. ბორდერიზაციის პროცესსაც შეეხო.

პრემიერის თქმით, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების წინაშე მდგარი გამოწვევების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ევროკავშირის მტკიცე მხარდაჭერა და მკაფიო სიგნალები.

ევროპის საბჭოს პრეზიდენტმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე დაადასტურა, რომ მაისში თბილისს ეწვევა.

მხარეებმა ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებაც იმსჯელეს. ღარიბაშვილის განმარტებით, საქართველოს მიზანია, სამოქმედო გეგმა აღმოსავლეთ პარტნიორობის 2015 წლის სამიტამდე შეასრულოს, რომელიც რიგაში გაიმართება. (პირველი)

## უსუფაშვილი აშშ-ის მიერ სააკაშვილზე გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა



პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი გამოეხმაურა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებას საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარებასთან დაკავშირებით.

„დეპარტამენტის განცხადება არის ძალიან მკაფიო, ძალიან დახვეწილი და მე მგონი, ისეთი, როგორსაც უნდა ველოდეთ ჩვენი კეთილისმყოფელი, ძლიერი, სტრატეგიული პარტნიორის მხრიდან, რომელიც გვეუბნება, რომ ამ ვითარებაში, როდესაც ძალიან ბევრი რამ არის სასწორზე, იყავით, კიდევ უფრო ფრთხილად, ვიდრე უნდა ვიყოთ, როცა საქმე ეხება პროკურორს, დაკითხვას და ა.შ.“, – განაცხადა უსუფაშვილმა. (ფრონტნიუსი)



# სქემა, რომლითაც „ნაციონალები“ „მაიდანისთვის“ ემზადებიან

## რომელ სამ კატეგორიას ამზადებენ დამტრყმელ ძალად?

24 მარტს ჟურნალისტი ირმა ინაშვილი ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარების შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერთა მხრიდან გაკეთებულ განცხადებებს გამოეხმაურა. ინაშვილი იმ მასალების გამოქვეყნებას აანონსებს, სადაც „ნაციონალების“ მიერ თბილისში „მაიდანის“ მოწყობისა და მისი თქმით, „ზონდერების“ საქმიანობის სქემა იქნება ასახული.

„ხელისუფლების საყურადღებოდ ვწერ: იმედია, აკვირდებით ნაცისტების ლიდერთა გამოსვლებს. ივანიშვილს უკვე იანუკოვიჩს ადარებენ და ღიად აცხადებენ, რომ საქართველოშიც სურთ „მაიდანი“, სადაც თურმე მიშა დაგვხვდება (არ ვიცნობდეთ მაინც ამ კურდღელს!)... ამასთანავე, გააქტიურდა მცდელობა, რომ ივანიშვილი და ღარიბაშვილი (კონკრეტულად, ეს ორი პერსონა და მერე, ზოგადად, ხელისუფლება), მიაბან პუტინსა და რუსეთს, რაც, ცხადია, სასაცილოა, მაგრამ ახლა სიცილის დრო არაა. იმის მიუხედავად, სერიოზულად გეჩვენებათ შექმნილი სიტუაცია თუ არა, ჩემი რჩევაა, მიაქციოთ ყურადღება ჩვენ მიერ საჯაროდ მოწოდებულ ინფორმაციებს. უახლოეს ხანში დეტალურად გავავრცელებ მასალებს, სად, როგორ, რომელი პროფესიის ადამიანების დახმარებით, რა ბაზაზე ამზადებენ ნაცისტები თბილისურ „მაიდანს“, როგორ არიან ჩართულნი ამ პროცესში ძველი „ზონდერები“ და რა სქემით აპირებენ საქართველოში პროვოკაციების აფეთქებას. აქამდე რაც დავწერე, დავწერე ხელისუფლების საყურადღებოდ, ახლა ვწერ ნაცისტებისთვის: ყველაფერი ვიცით. ჩვენც გვყავს თქვენს რიგებში ინფორმატორები და „მაიდანი“ არ გამოგივათ“. – წერს ინაშვილი.

**„ალია“ დეტალებში გასარკვევად კომენტარისთვის ირმა ინაშვილს დაუკავშირდა:**

– გავავრცელე ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები და აქტივისტები ამზადებენ თბილისში „მაიდანს“ და ეს არ არის მხოლოდ ჩემ მიერ გაცხადებული ინფორმაცია, ამისთვის საჯარო წყაროები მაქვს. მაქვს ინფორმაცია, რომ მიდის ამისთვის სერიოზული მზადება, სხვა საკითხია, რა გამოუვათ, ამაზე მერე ვისაუბროთ, მაგრამ რომ არ ხუმრობენ და საკმაოდ სერიოზულად ემზადებიან, ფაქტია.

**— შეგიძლიათ, კონკრეტულად მითხრათ, რა ხდება?**

– არ შემიძლია ახლა კონკრეტულ დეტალებზე ლაპარაკი, მაგრამ შემიძლია, სქემა გითხრათ, რა ხდება სინამდვილეში: მოკლედ, მიდის მზადება და ამზადებენ სამი კატეგორიის ძალას: პირველი, ესაა სტუდენტები, რომელთანაც მუშაობს „თავისუფალი ზონა“ და მისი ფილიალები, ტარდება ტრენინგები, მიდის ამ სტუდენტების იდეოლოგიური მომზადება. მეორე, ისაა ფენა სტუდენტებისა და სპორტსმენების, რომლებიც ულტრანაციონალური და რადიკალური ლოზუნგებით გამოვლენ, და, მესამე, ეს არის მაღალი დონის სპორტსმენები, რომლებსაც ამზადებენ კონკრეტულ სპორტულ დარბაზებში.

**— კონკრეტულ დარბაზებშიო და იცით ეს დარბაზები?**

– რა თქმა უნდა, მაგრამ ამ დარბაზებს ჯერ არ დავასახელებ, სხვათა შორის, რამდენიმე კონკრეტული სპორტული ასოციაციაა ჩართული ამ საქმიანობაში.

**— და ამ სპორტსმენებს „ნაციონალები“ როგორც „ზონდერებს“, ისე გამოიყენებენ?**

– ისინი ადრეც „ზონდერები“ იყვნენ და არბევდნენ აქციებს და დღესაც გამოყენებულნი იქნებიან ანალოგიური ოპერაციების განხორციელების შემთხვევაში.

**— და რით აინტერესებენ ამ ხალხს, ფულს უხდიან? ფული კი აქვთ, ჩეჩქივით.**

– ეს საკმაოდ კარგად დაფინანსებული მზადებაა, ძალიან კარგად უხდიან ამ აქციების დამფინანსებლები სტუდენტებსაც და სპორტსმენებსაც, ასევე იმ ულტრანაციონალისტურ ელემენტებსაც, რომლების არენაზე გამოყვანასაც ესენი აპირებენ. საუბარი მიდის იმაზე, რომ მოაწყონ სხვადასხვა ტიპის პროვოკაციები სხვადასხვა თემებზე. ამას ხაზს ვუსვამ. ეს არ არის მარტო ნატო, „ევრაზიული კავშირი“, ან ევროკავშირი, სულ სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით გეგმავენ პატარ-პატარა პროვოკაციების ორგანიზებას და საბოლოო ჯამში, თუკი მათ ეს პროექტი გამოუვათ, დაგეგმილია, რომ გასროლა მოხდეს პოლიციის მხრიდან, რომელიც იმ დროს იქ დაიცავს საზოგადოებრივ სიმშვიდესა და უსაფრთხოებას, ამ თემაზეა იქ ლაპარაკი.

**— მახსოვს, „მაიდანზე“ სამართალდამცავებმა კი არა, გადაცმულმა პროვოკატორებმა წამოიწყეს სროლა.**

– პრაქტიკულად ეს არის სწორედ „მაიდანის“ სცენარი და, რაც შეეხება სტუდენტებს: ამაში მონაწილეობენ ილიაუნის სტუდენტობა და ასევე ბენდუქიძის უმაღლესი სასწავლებელი. ეს არის ძალიან ფართო წრე სტუდენტობისა, რომლებიც ჩართულები არიან ტრენინგებში და მიდის სისტემატური მუშაობა მათთან. ამ ყველაფერს იდეოლოგიურადაც აქვს გამყარებული საფუძველი, რადგან „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არაერთი საინფორმაციო საიტი გახსნა, რომლებიც სწორედ ამ მიმართულებით მუშაობენ, რომ საპროტესტო ტალღა აგორდეს საქართველოში.

საქართველოში „მაიდანი“ არ გამოვა, ეს მინდა ვუთხრა „ნაციონალური“ ელიტის წარმომადგენლებს. თითოეული მათგანი გასამართლდება იმ დანაშაულებისთვის, რაც ჩადენილი აქვთ და მიბრძანდება მატროსოვზე, ზოგიერთი კი - გლდანში. რამდენად, ერთმანეთში როცა საუბრობენ და მუშაობენ, ალბათ, მათთვის რეალურია, მაგრამ არ გამოუვათ არაფერი. ჩვენ, მე და ჩემი მეგობრები, ვიქნებით ის ხალხი, მათ პოლიტიკურ კუბოზე რომ ბოლო ლურსმანს ჩავაჭედებთ. ამ დროს ისინი შეიარაღებულები არიან ხელკეტებით, შეძენილი აქვთ ნიღბები, ბეჭდავენ სხვადასხვა პლაკატებს, ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვფლობ ინფორმაციას და თქვენი და ჩემი მეგობრების სახით ვასაჯაროებთ, ჩვენი ფუნქცია ხომ ეს არის. ეს მუშაობა მათ დაიწყეს არა დღეს და გუშინ, ისინი ამისთვის მზადებაში არიან 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ და მაშინ მოამზადეს იდეოლოგიური საფუძველი, მაშინ დაიწყეს არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნა, 15-ზე მეტი მათი არასამთავრობოა უკვე ამ თემაში ჩართული. მე ვურჩევ ხელისუფლებას, ძალიან სერიოზულად გააანალიზოს ეს ინფორმაცია და ცუდია, თუ უშიშროებას ეს ინფორმაცია ჩვენგან ესმის. რა მასალებიც მაქვს, მზად ვარ, მათ გადავცე ყველაფერი.

**— დაბოლოს, როდისთვის გეგმავენ ამ ფართომასშტაბიან გამოსვლებს?**

– საუბარი იყო 17 მაისზე, მაგრამ ვინაიდან გავასაჯაროვე ეს ფაქტი, თარიღი გადმოსწიეს დაახლოებით მაისის პირველ დღეებში, თუმცა, რა ინფორმაციაც მაქვს, ისინი იმოქმედებენ სიტუაციის მიხედვით და შეიძლება, აპრილშიც დაიწყოს დაგეგმილი პროვოკაციები, თან მთელი საქართველოს მასშტაბით, სადაც მათ ფილიალები აქვთ. შეტევა კი ერთბაშად დაიწყება, ასე აქვთ დაგეგმილი და ამისთვის ჩვენ მზად უნდა ვიყოთ.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### რა შემთხვევაში შეუძლიათ მოქალაქეებს ისრაელში უვიზოდ წასვლა?



საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, დავით ჯალაღანიამ, განმარტებები გააკეთა იმაზე, კონკრეტულად ვის შეუძლია ისრაელში უვიზო შესვლით სარგებლობა.

„უვიზოდ შესვლის უფლება არ ვრცელდება სასწავლებლად, ან სამუშაოდ მიმავალ პირებზე. ამ კატეგორიის პირებმა კვლავაც უნდა მიიღონ ვიზა დადგენილი პროცედურების შესაბამისად. უვიზო რეჟიმის მიუხედავად, საქართველოს მოქალაქეებმა მგზავრობისას უნდა იქონიონ უკან დასაბრუნებელი ბილეთი და მოქმედი პასპორტი, რომლის მოქმედების ვადა აღემატება შესვლიდან, სულ მცირე, ექვს თვეს. ისრაელის სახელმწიფო საზღვარზე შეიძლება მათ ასევე მოეთხოვოთ ჯანმრთელობის დაზღვევის, სასტუმროს ჯავშნისა და ქვეყანაში დარჩენისთვის საკმარისი ფინანსური სახსრების თაობაზე ინფორმაციის წარდგენა“, – განაცხადა დავით ჯალაღანიამ.

მესაზღვრე ოფიცერს უფლება აქვს, უარი უთხრას უცხოელს ქვეყანაში შესვლაზე გარკვეული მიზეზების საფუძველზე. ამიტომ ისრაელში წასვლის მსურველმა აუცილებლად თან უნდა იქონიოს ყველა საჭირო საბუთი, მესაზღვრე ოფიცერთან გასაუბრებისას შეძლოს მგზავრობის მიზნის განმარტება და ამ ინფორმაციის უტყუარობის დადასტურება.

ისრაელის სახელმწიფოს მიერ სავიზო რეჟიმის გაუქმების წესი მხოლოდ იმ პირებზე ვრცელდება, რომლებიც ისრაელში ტურისტულად, სტუმრად, ან კერძო ვიზიტით მიემგზავრებიან და მათ ისრაელში 180 დღის განმავლობაში 90 დღე უვიზოდ ყოფნა შეუძლიათ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ირაკლი ღარიბაშვილი იმედოვნებს, რომ ყოფილი პრეზიდენტი საქართველოში ჩამოვა



პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარებაში უჩვეულო არაფერია და მსგავსი რამ ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში ხდება.

„მან ყველა კითხვას უნდა გასცეს ამომწურავი პასუხი. თუნდაც გაფანტოს ეჭვები, დაეხმაროს გამოძიებას, სწორად წარმართოს აღნიშნული პროცესი. თუ მას აქვს შენარჩუნებული გარკვეული გონიერება, უნდა ჩამოვიდეს. ის უბრალოდ ვალდებულია, ჩამოვიდეს, ვინაიდან ამ ქვეყნის პრეზიდენტი იყო 9 წლის განმავლობაში და ამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის მიერ არჩეულ მთავრობას, პროკურატურას ვგულისხმობ, აქვს კითხვები. მეორე საკითხია, ჩამოვა თუ არ ჩამოვა, მაგრამ, ჩემი აზრით, უნდა ჩამოვიდეს, თუ ჯერ კიდევ აქვს საღი აზრი შენარჩუნებული“, – განაცხადა ღარიბაშვილმა „კვირის პალიტრასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, თუ მიხეილ სააკაშვილი არ ჩამოვა, კანონის შესაბამისად მასზე ძებნა გამოცხადდება.

„პროკურატურას აქვს მასთან ძალიან მძიმე საქმეებზე კითხვები. კეთილი ინებოს, ჩამობრძანდეს და გასცეს პასუხი. ეს არის ჩემი ძალიან მარტივი პასუხი“, – განმარტა ღარიბაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

### პრეზიდენტი ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას შეხვდა



საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილისა და ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის შეხვედრისას, მხარეებმა საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობის საკითხები განიხილეს. საუბარი საქართველოსა და ნატო-ს დაახლოების ფორმატებსა და ამ მიმართულებით მიღწეულ პროგრესს შეეხო. მათ რეგიონში არსებულ ვითარებაზეც იმსჯელეს და ყურადღება გაამახვილეს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე.

გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ხელისუფლება ყველა ღონეს მიმართავს, რათა ქვეყანა ალიანსს კიდევ უფრო დაუახლოვდეს და ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების განსახორციელებლად კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგას. თავის მხრივ, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის წარმომადგენლებმა ამ პროცესში საქართველოს სრული მხარდაჭერა აღუთქვეს.

დელეგაციის ხელმძღვანელის ხოსე ლელოს განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას მხარეებმა განიხილეს ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც აღნიშნული იქნება ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის წინაშე წარსადგენ საანგარიშო მოხსენებაში.

შეხვედრას ესწრებოდნენ ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ლაშა აბაშიძე, პრეზიდენტის საგარეო ურთიერთობების მრჩეველი ივანე მაჭავარიანი და საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირაკლი სესიაშვილი. (ინტერპრესნიუსი)

ახალი ამბები...

## ჟვანიას საიდუმლოს შესახებ მისი გარემოცვიდან მხოლოდ ორმა იცოდა



ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე ბრალდებულ მიხეილ ძაძამიას განცხადებით, კონსპირაციული ბინის არსებობა მისი, ზურაბ ჟვანიასა და დაცვის უფროსის საიდუმლო იყო.

მისი თქმით, მას მიჰყავდა ხოლმე ჟვანია იქ და თითოეული ამ გადაადგილების შესახებ ყოველთვის იცოდა დაცვის უფროსმა კობა ხარშილაძემ.

„ზურაბ ჟვანია მივიყვანე კონსპირაციულ ბინაში და ასეთი რამ ხშირად ხდებოდა ხოლმე. ამ ბინის შესახებ არავის უნდა სცოდნოდა, გარდა დაცვის უფროსისა და ჩვენი. ეს იყო საიდუმლო, ზურას მოთხოვნით. მე მართალი ვარ ამ საქმეში და მართალი ვარ ღმერთის წინაშე“, – განაცხადა ძაძამიამ.

საქალაქო სასამართლომ ძაძამიასა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტ ლევან ჩაჩუას აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. (ინტერპრესნიუსი)

## კარლ ბილდტი სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარებას რევანშად აფასებს



შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, კარლ ბილდტის განცხადებით, რევანშის პოლიტიკა საქართველოს სანდოობას ძირს გამოუთხრის.

„როდესაც ბოლოს თბილისში ვიყავი და შევხვდი ბატონ ივანიშვილს, ჩვენ შევთანხმდით, რომ რევანშის პოლიტიკა დასრულდებოდა, რადგან ასეთი მიდგომა ძალიან საზიანოა საქართველოსთვის. რევანშის პოლიტიკას მომავალი არ აქვს ევროპაში“, – აღნიშნა ბილდტმა სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარებასთან დაკავშირებით საუბრისას. (ინტერპრესნიუსი)

## გეგუთის ციხეში პატიმარი გარდაიცვალა

23 მარტს, 25 წლის პატიმარი ავთო მაისურაძე, გეგუთის ციხის საკანში, გარდაცვლილი იპოვეს. არსებული ინფორმაციით, მან თავი ჩამოიხრჩო. მასთან ერთად 5 მსჯავრდადებული იმყოფებოდა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს განცხადებით, სიკვდილის გამომწვევი მიზეზის დასადგენად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაა დანიშნული.

სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს მომხდარი ფაქტის გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

სახალხო დამცველის იმერეთის ორგანიზაციის წარმომადგენლების განცხადებით, მაისურაძე სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით იყო გასამართლებული, რაც ქურდობასა და იარაღის უკანონო ტარებას გულისხმობს.

გარდაცვლილი პატიმარი, წლების განმავლობაში ბათუმში ცხოვრობდა. მაისურაძეების ოჯახს ოსტროვსკის №7-ში ბინა ჰქონდა ნაქირავები. დაახლოებით ერთი წლის წინათ ავთო მაისურაძე დააპატიმრეს, რის შემდეგაც ბინაში ჩხრეკა ჩატარდა. სახლის მეპატრონე ლალი ქამაშიძე აცხადებს, რომ შემთხვევის შემდეგ მაისურაძის ბებიასა და დედას სთხოვა, ბინა დაეტოვებინათ.

„დიდი ხანი ცხოვრობდნენ აქ, დაახლოებით – ხუთი წელი. ავთო დედასთან და ბებიასთან ერთად ცხოვრობდა. გასულ წელს ქუჩაში დააპატიმრეს, შემდეგ კი ბინაში ჩხრეკა ჩაატარეს. ამ ამბის შემდეგ, ჩვენ ისინი ბინიდან გავუშვით. დედა თურქეთში წავიდა, ბებია კი ქუჩაში ითხოვს შემწეობას“, – აღნიშნა ლალი ქამაშიძემ.

გავრცელებული ინფორმაციით, მაისურაძის ცხედარი მეგობარმა აბაშაში გადაასვენა. მასთან ერთად, მაისურაძე ადრე მანქანის ქურდობის ბრალდებით იხდიდა სასჯელს. (ინტერპრესნიუსი)



# „კულუარები“ მთავარი პროკურატურიდან

## ვის დაიბარებს გამოძიება დაკითხვაზე სააკაშვილის ოჯახის წევრებიდან?

როგორ განვითარდება მოვლენები, თუკი სააკაშვილი დაკითხვაზე არ გამოცხადდება? იურისტი და ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი „ალიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, მოწმის გამოუცხადებლობა არის სისხლის სამართლის დანაშაული.

როგორც „ალიას“ პროკურატურიდან წყარომ განუცხადა, უწყებაში უკვე მუშაობენ სააკაშვილის მონაცემების ინტერპოლისთვის გადასაცემად, რადგან ექსპრეზიდენტი ჩამოსვლას არ აპირებს. „აუცილებლად ჩამოიყვანენ სააკაშვილს. იმდენად მძიმე საქმეებია და იმდენად გამყარებულია მტკიცებულებებით, რომ გამორიცხულია, არ მიათრიონ დაკითხვაზე. საქმეები დასკვნით ფაზაშია შესული და როგორ ფიქრობთ, პროკურატურა ამ საქმეებს გვერდით გადადებს მხოლოდ იმის გამო, რომ სააკაშვილს არ ნებავს გამოცხადება?“ – ამბობს წყარო.

წყაროს ცნობით, სააკაშვილის მსგავსად უახლოეს მომავალში დაკითხვაზე გამოიძახებენ იუსტიციის ყოფილ მინისტრს ზურაბ ადეიშვილსაც. წყაროს თქმით, ადეიშვილის საქართველოში ჩამოყვანის მიზეზი „ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმე გახდება, რადგან ეს სქემა სწორედ ადეიშვილის კაბინეტში დაიგეგმა სააკაშვილთან შეთანხმებით. არ არის გამორიცხული, ადეიშვილს ბრალი წაუყენონ ასევე შესაწყალებელი პატიმრების უკანონო სიების შედგენაში, რომელსაც ის სააკაშვილთან შეთანხმებით ადგენდა, ეს უკანასკნელი კი მძიმე დანაშაულებებში ექვმიტანილ პირებს იწყალებდა“.

როგორ განვითარდება მოვლენები, ამას დრო გვიჩვენებს, ფაქტია, რომ სააკაშვილის ოჯახსა და სანათესაოს კარგი დღე არ უდგათ. პროკურატურა თემურ ალასანიას უკანონო საქმეებითაც დაინტერესდა. საქმე ეხება მიხეილ სააკაშვილის მიერ თემურ ალასანიასთვის 5,5 ჰა მიწის დაბალ ფასში გადაცემის ფაქტს. შეგახსენებთ, რომ შპს „ბეზეკის“ საქმე ერთ-ერთია, რომელთან დაკავშირებითაც ბადაშვილის უწყებას კითხვები სააკაშვილთან აქვს. „ბეზეკის“ დირექტორი თემურ გაგნიძე ამბობს, რომ წისქვილკომბინატი „ბეზეკი“ 2007 წლიდან მუშაობს. გაფართოების მიზნით განაცხადი ობიექტის გვერდით არსებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწაზე შეიტანეს, თუმცა, საბოლოო ჯამში, მისი დაკანონება სამი წლის შემდეგ შეძლეს. როგორც გაგნიძე აცხადებს, მიწის ფართობში ოთხმა მფლობელმა, რომელთა შორის, ერთ-ერთი თემურ ალასანიაა, 1 მილიონ 825 ათასი ლარი გადაიხადეს.

„ბეზეკის“ საქმის პარალელურად, თემურ ალასანიას კუთვნილ ფირმა „ტავ ჯორჯიაში“, რომლის წყალობითაც თავის დროზე პრეზიდენტის ბიძამ თბილისის საერთაშორისო აეროპორტი ჩაიგდო ხელში საერთაშორისო აუდიტორული ფირმა შევიდა. აუდიტორებმა უკვე განახორციელეს სამუშაოები, თუმცა საბოლოო დასკვნას ისინი სამ თვეში დადებენ. „ტავ ჯორ-

გაგრძელება მეოთხე გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ფეხბურთის ფედერაცია ტოტალიზატორებს ფსონების სიიდან მატჩების ამოღებას სთხოვს



საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ქვეყანაში მოქმედ ტოტალიზატორებს გამაფრთხილებელი წერილით მიმართავს.

„უკანასკნელ პერიოდში ეროვნულ ჩემპიონატში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება, გაკეთებულიყო სპეციალური განცხადება-გაფრთხილება საქართველოში მოქმედი ყველა ტოტალიზატორის მეპატრონეთა მიმართ.

ეროვნული ჩემპიონატის მიმდინარეობისას არაერთ მატჩზე გამოითქვა ვარაუდი არასპორტული, გარიგებული შედეგით დასრულებასთან დაკავშირებით, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება როგორც კონკრეტული კლუბის, ისე მთლიანად ქართული ფეხბურთის იმიჯზე.

სამწუხაროდ, დანაშაულებრივი ხაზი ხშირად ტოტალიზატორებსა და ფსონების დამდებ პირებამდე მიდის.

შეგახსენებთ, რომ გარიგებულ მატჩებში ჩართულობა ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით და მსგავსი ფაქტების აღკვეთაზე მუდმივად მუშაობენ ფეხბურთის მმართველი საერთაშორისო ორგანოები – ფიფა და უეფა.

სწორედ ამიტომ, სფფ-ის წერილობითი მოთხოვნა დაეგზავნება საქართველოში მოქმედ ტოტალიზატორებს, რათა უმოკლეს ვადებში სფფ-ის ეგიდით გამართული ყველა მატჩი კლიენტებისთვის შეთავაზებული ფსონების სიიდან ამოიღონ.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ქართული ტოტალიზატორების მფლობელები გაგებით მოეკიდებიან სფფ-ის თხოვნას და ამით დამატებით მაპროვოცირებელ ფაქტორს მოხსნიან მატჩების ჩაწყობის მსურველი სუბიექტებისთვის“, – ნათქვამია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## მახათას მთაზე 1 000 ზეთისხილის ხე და 300 ჰიმალაის კედარი დარგეს



მახათას მთაზე მშენებარე ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე ზეთისხილის ბაღის გაშენება დაიწყო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, მახათას მთაზე, ზეთისხილის ბაღში პირველი ნერგი დარგო. გამწვანების აქციამდე, კათოლიკოს-პატრიარქმა მშენებარე ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი დაათვალიერა, რომლის გადახურვა მიმდინარე წლის სექტემბერში დასრულდება. კათოლიკოს-პატრიარქმა ტაძარში პარაკლისი გადაიხადა. ღონისძიებას მთავრობის წევრები, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები ესწრებოდნენ.

მახათას მთაზე ზეთისხილის ნერგები გიგა ლორთქიფანიძის, ოთარ მეღვინეთუხუცესისა და გურამ საღარაძის სახელზე დაირგო.

ღონისძიება ტაძრის მშენებლობის ფონდის – „ივერიისა“ და პატრიარქის დაფუძნებული ფონდის – „გაამწვანე საქართველო“ – ორგანიზებით ჩატარდა. ახლად დარგული ხეების მოვლასაც მეთვალყურეობას ფონდი გაუწევს. ძვირფასი ჯიშის ზეთისხილის ნერგები ფონდს ბიზნესმენმა გიორგი სვანიძემ გადასცა. (ინტერპრესნიუსი)

## ვაშინგტონში ამბობენ, რომ შესაძლოა, საქართველო მაპ-ს არც იმსახურებს



ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწის, მეთიუ ბრაიზას განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის პროკურატურაში დაბარების გამო ამბობენ, რომ შესაძლოა, საქართველო მაპ-ს არც იმსახურებს.

„მე კომენტარს გავაკეთებ პოლიტიკური გამოცდილებიდან გამომდინარე და იმაზე დაყრდნობით, რაც აქ მესმის და რაზეც მსჯელობა მიდის. ვაშინგტონიდან ჩამოსულ ფორუმის მონაწილეებს უკიდურესად კრიტიკული და მძაფრი რეაქცია ჰქონდათ, სააკაშვილსაც შეხვდნენ გავრცელებულ ახალ ამბავზე. ნეგატიური შეფასება იყო და თანაც საკმაოდ. იზრდება და უკვე მოახლოვდა პროცესი, რომ საქართველომ სექტემბრის სამიტზე მაპ-ი მიიღოს, მიხეილ სააკაშვილის პროკურატურაში დაბარების გამო კი ამბობენ, რომ შესაძლოა, საქართველო მაპ-ს არც იმსახურებს იმიტომ, რომ იქ პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულება და შერჩევითი სამართალია. ასეთია იმ ადამიანების განწყობა, რომლებიც ფორუმს ესწრებიან და გადაწყვეტილების მიმღებნი არიან. ვფიქრობ, ამან გადაწყვეტილებაზე ნეგატიური გავლენა უკვე იქონია“. – განაცხადა მეთიუ ბრაიზამ, რომელიც ბრიუსელში, გერმანიის მარშალის ფონდის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ ფორუმს ესწრება. (ინტერპრესნიუსი)

# „კულუარები“ მთავარი პროკურატურიდან





*მესამე გვერდიდან*

ჯიას“ შესამოწმებლად აუდიტორული ფირმა სახელმწიფომ მოიწვია. რატომ გახდა საჭირო „ტავ ჯორჯიას“ შემოწმება და რა ეჭვები არსებობს ალასანიას ფირმასთან დაკავშირებით? „ალიას“ ესაუბრება საავიაციო სააგენტოს ხელმძღვანელი გურამ ჯალაღონია:

„ძალიან დიდი ხანია საუბარი მიდის, რომ „ტავ ჯორჯიაში“ მთელ რიგ დარღვევებს ჰქონდა ადგილი, რომ ასაფრენ-დასაფრენი ზოლი არ არის უსაფრთხო და ა.შ. ამიტომ მოწვეულ იქნა საერთაშორისო აუდიტორული ფირმა, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ შეისწავლის არსებულ ვითარებას და დადებს დასკვნას, რა დარღვევაა კომპანიაში. აუდიტორული კომპანია შეისწავლის უსაფრთხოების ხარისხს, ასაფრენ-დასაფრენ ზოლს, სადგომ ადგილებს, განათებას, მგზავრთა ნაკადის მომსახურებას და ასევე, ვაგზალსაც. ამის შემდეგ ჩვენ გვექნება რეალური სურათი, რა მდგომარეობა გვაქვს ამ კუთხით“.

დაინტერესდება თუ არა პროკურატურა თემურ ალასანიას საქმიანობით და გამოიძახებს დაკითხვაზე? იურისტი და ადვოკატი მამუკა ნოზაძე აცხადებს, რომ პროკურატურამ კითხვები თემურ ალასანიასაც უნდა დაუსვას, ვინაიდან როცა ჩნდება ეჭვი, რომ მიწა უკანონოდ გასხვისდა, მაშინ უკანონო შემძენიც დამნაშავეა.

რაც შეეხება სააკაშვილის დედას, გიული ალასანიას, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული სახელმწიფო ქონების უკანონო დაუფლებასთან და კორუფციულ გარიგებებთან დაკავშირებით. „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია წლებია, აქტიურად არის ჩართული გიული ალასანიას კორუფციული სქემის გაშიფვრაში. ბაღათურიამ საკმაო ხანია, მასალები გადასცა პროკურატურას. მოგვიანებით ბაღათურია შეხვდა საქმის გამომძიებელსაც, რომელმაც განუცხადა, რომ ძიება აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს. ინფორმაცია გიული ალასანიას ბიზნესთან დაკავშირებით ჯონდი ბაღათურიამ შეკრიბა და დღეის მდგომარეობით ექსპრეზიდენტის დედის ქონება ასე გამოიყურება:

გიული ალასანიამ დააფუძნა „საქართველოს უნივერსიტეტი“, რომლის 40%-ს თავად ფლობს, 37%-ს ფლობს გიული ალასანიას მეგობარი მანანა სანაძე, 12,5-12.5% კი პრეზიდენტის ბიძაშვილს, ნიკოლოზ ალასანიასა და ედუარდ რობერტ რაუპს ეკუთვნით. ალასანია სულ 16 საგანმანათლებლო დაწესებულების მფლობელია.

როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, ბადაშვილის უწყება ამჟამად მთელი რესურსით მუშაობს, რომ მიიღოს კითხვებზე პასუხები სააკაშვილისა და ადეიშვილისგან. დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაო მათ სამშობლოში დასაბრუნებლად. მოგვიანებით კი და-ძმა გიული და თემურ ალასანიებისთვისაც მოიცლიან.

**შორენა გოგოლაძე**
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

# ოპერის თეატრის იტალიელი დირიჟორი ბრალდებებს პასუხობს



**„ალიაში“ გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „რატომ ითხოვს ოპერის თეატრის იტალიელი დირიჟორი პირად დაცვას?“, სადაც მას რამდენიმე ბრალდებას უყენებენ. სტატიას ის უცხოეთიდან ეხმაურება და საკუთარ პოზიციას აფიქსირებს.**

„ძვირფასო მკითხველებო, მსურს საჯაროდ ვუპასუხო ჩემ მიმართ გამოთქმულ იმ საფუძველსმოკლებულ და ცრუ ბრალდებებს, რომელიც დღეს მე ამ გამოცემაში („ალია“ №43 21-24.03.2014) წავიკითხე. დავიწყებ ჩემი ანაზღაურებით, რომელიც მაქვს საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ. ოთხი წლის წინ თანხმობა განვაცხადე 4 000 ლარზე. ეს თანხა ერთი წლის შემდეგ შემცირდა 3 000 ლარამდე და ამჟამად შეადგენს 2 240 ლარს. სიცრუეთა სიას რომ მივყვეთ, მასში აღნიშნულია, რომ მე მოვითხოვე პირადი დაცვა. ეს კი არის აბსოლუტური ტყუილი. როცა ეს წავიკითხე, ბევრი ვიცინე, მაგრამ გულწრფელად გეტყვით, საერთოდ აღარ მეცინება, რადგან საუბარია ჩემს იმიჯსა და ღირსებაზე. ძალიან საშიშ ქვეყნებში ყოფნის დროსაც კი არ დამჭირვებია პირადი დაცვა, რისთვის მოვინდომებდი მას საქართველოში, რომელსაც ჩემს მეორე სამშობლოდ ვთვლი? ყველაზე დიდი ტყუილი ჩემთვის წარმოდგენილ ბრალდებებს შორის, არის ჩემი გრძნობების ნიველირება ქართველებისა და საქართველოს მიმართ. ვინაიდან ეს არის ძალიან პირადული თემა, არ ჩამითვლია საჭიროდ, გამომეცხადებინა, რომ მართლმადიდებლურად მოვინათლე ლურჯ მონასტერში. ახლა ამას ვაცხადებ, რომ ყველასთვის ცნობილი გახდეს, თუ რა ძლიერ მიყვარს ეს ქვეყანა და მისი ტრადიციები.

მივყვეთ ბრალდებებს, სადაც აღნიშნულია, რომ თბილისის ოპერის თეატრი წავიყვანე სასტუმროს მისაღებში დასაკრავად. ეს, რა თქმა უნდა, ტყუილია. როგორც ჩანს, ქალბატონი, რომელიც ამაზე საუბრობდა, ალ ბუსტანის ფესტივალს გულისხმობდა. ამ შემთხვევაში, შეგახსენებთ, რომ ეს ფესტივალი 21 წელია ითვლება ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალად მსოფლიოში და „არაბი ქალი“ არის ქალბატონი მირნა ბუსტანი – პირველი პარლამენტარი ქალი ლიბანში, რომელიც დაჯილდოებულია ხელოვნების მენეჯერთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ, მისი მიღწევებისა და კლასიკურ მუსიკაში შეტანილი წვლილის გამო. თბილისის სახელმწიფო ოპერის ორკესტრი წარდგა ალ ბუსტანის აუდიტორიის წინაშე წმ. ჟოზეფის ეკლესიაში.

ახლა კი იმის შესახებ, ვინ ვარ მე. გაიჟღერა, რომ არავინ იცის ჩემს შესახებ. დაუკავშირდით ინგლისის კამერულ ორკესტრს, ოვიედოს ფილარმონიასა და ოვიედოს ოპერას, ინგლისის ნაციონალურ ოპერას, გრეინჯ პარკ ფესტივალს, ბორნმუთის სიმფონიურ ორკესტრს, BBC-ს საკონცერტო ორკესტრს, ლიტვის ნაციონალურ ოპერას, როსტროპოვიჩის ფონდს, მოსკოვის რუსულ ფილარმონიულ ორკესტრს, პეკინის სიმფონიურ ორკესტრს, ხორვატიის ნაციონალურ ოპერას, ნოვი სადის ოპერას, ჯორჯ ენესკუს ფილარმონიას, პრაღის სახელმწიფო ოპერას და ა.შ. ჩემს შესახებ რევიუები გამოცემებში „The Times“, „The Independent“, „The Financial Times" და სხვა მუსიკალურ ჟურნალებში, მსგავსად ჟურნალისა „Opera“, დათარიღებულია ჩემს საქართველოში ჩამოსვლამდე თარიღით. ეს იმისთვის, რომ ნათელი გახდეს ყველაფერი. დაბოლოს, საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხი: არასოდეს დავმუქრებივარ საქართველოს კულტურის სამინისტროს და ყველა ჩემი მოთხოვნა მხოლოდ ოპერის თეატრს შეეხებოდა და არა პირადად მე. მე არ მაქვს ბერკეტი, დავემუქრო კულტურის მინისტრს, ამასთანავე, არც მუქარა მიყვარს და არც ის, როცა მემუქრებიან. საქართველოში ვინც კარგად მიცნობს, დამემოწმება, რომ აღნიშნული სტატიის შემდეგ მიღებული შესანიშნავი მხარდაჭერის გზავნილებით ძალიან ბედნიერი ვარ. გარწმუნებთ, რომ ქალბატონი მზია ნიორაძე, რომელმაც facebook-ზე შემაქო „ბედის ძალის“ შესრულების შემდეგ და ახლა ამბობს, რომ ჯობს სულელივით ვიქნევ, საჯაროდ მოიხდის ბოდიშს ამ წერილში დაფიქსირებული ტყუილებისთვის. თუ ის საჯაროდ ბოდიშს არ მოიხდის, მისგან ჩემი პატივის და ღირსების შელახვისთვის მივმართავ სასამართლოს.

*ღრმა პატივისცემით,*
*ჯანლუკა მარჩანო*

## ირაკლი ღარიბაშვილი ბარაკ ობამას შეხვდა



ბირთვული უსაფრთხოების სამიტის გახსნაზე საქართველოს პრემიერი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ბარაკ ობამას შეხვდა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა საქართველოს პრემიერ-მინისტრი მოიკითხა და ბირთვული უსაფრთხოების სამიტის მუშაობაში წარმატება უსურვა.

ბირთვული უსაფრთხოების სამიტი ჰააგაში დღეს გაიხსნა. (ინტერპრესნიუსი)

## ზურაბ ჟვანიას საქმეზე დაკავებულებს სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა




თბილისის საქალაქო სასამართლომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტ ლევან ჩაჩუასა და ზურაბ ჟვანიას დაცვის წევრ მიხეილ ძაძამიას წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ლევან ჩაჩუა საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით 20 მარტს დააკავა. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რომელიც სასჯელის სახედ და ზომად 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ასევე სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით არის დაკავებული ზურაბ ჟვანიას დაცვის ცვლის უფროსი მიხეილ ძაძამია. პროკურატურის ინფორმაციით, ძაძამიას მიერ გამოჩენილ გულგრილობას ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა.

მიხეილ ძაძამიას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია საქართველოს სსკ-ის 342-ე მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს 4 წლამდე ვადით.

როგორც პროკურორებმა პროცესზე განმარტეს, ბრალდებულების მხრიდან ძალიან მაღალი რისკია, რომ განთავისუფლების შემთხვევაში მოახდინონ მოწმეებზე ზეწოლა ან მიიმალონ. პროცესზე პროკურორმა რევაზ ნადოიმ წარმოადგინა ოპერატიული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ლევან ჩაჩუას ექსპერტიზაში მონაწილე პირებზე ზემოქმედების მოხდენის მცდელობა ჰქონდა, მისთვის სასურველი ჩვენების მისაღებად.

დაცვის მხარემ და თავად ბრალდებულებმა კი განაცხადეს, რომ პროკურატურის მხრიდან მიმალვის ან ზეწოლის თაობაზე საუბარი უსაფუძვლოა. ლევან ჩაჩუას ადვოკატმა მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის გირაოს შეფარდება მოითხოვა 3000 ლარის ოდენობით, ძაძამიას ადვოკატმა კი – 5 000-ლარიანი გირაო.

გარდა ამისა, პროცესზე დაცვის მხარემ განაცხადა, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფების მიმართ წაყენებული ბრალი ხანდაზმულია.

ბრალდებულების მიმართ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებას ადვოკატები სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ. მომდევნო პროცესი 14 მაისს გაიმართება. (ინტერპრესნიუსი)



# „როგორ მოხდა, რომ „ქართული ოცნების“ ფრაქციის ერთადერთი წევრი იყო კომისიის თავმჯდომარედ და ისიც გადააყენეს?“

**რამდენიმე ხნის წინ „ალიაში“ დაიბეჭდა ორი ინტერვიუ, სადაც რესპონდენტები ფოთის მაჟორიტარ დეპუტატს, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, ეკა ბესელიას ფოთის პორტში მის ბიზნესინტერესებში ადანაშაულებენ.**

**ეკა ბესელია ბრალდებებს პასუხობს:**

– სამწუხაროდ, არ ვიყავი საქართველოში, როდესაც თქვენი სტატია დაიწერა და როცა ჩამოვედი, დროულად ვერ მოვახერხე ჩემი დატვირთვის გამო დაკავშირება. მეორე მხრივ, იმდენად არასერიოზული, სასაცილო და ორღობის ჭორის დონეზე მოყოლილი ამბებია, რომ პირველ ეტაპზე ვიფიქრე, ამ ბოდვაზე პასუხის გაცემა შეურაცხმყოფელი და არასერიოზული იყო. როგორც ჩანს, ჩემი ეს პოზიცია დაინტერესებულმა ჯგუფმა სისუსტედ ჩათვალა და ვინმე კობაიძის ჭორაობას მოჰყვა დაინტერესებული პირის, კაკუშაძის ინტერვიუ. იმის გამო, რომ ამ საქმეში ჩაუხედავი ადამიანები არ იყვნენ შეცდომაში შეყვანილი, ასევე იმის გამოც, რომ ვინც ამ სიცრუეს განზრახ ავრცელებს, იგრძნოს პასუხისმგებლობა, გადავწყვიტე, კომენტარი გამეკეთებინა. იმდენად დატვირთული ვარ და იმდენად მოუცლელი, რომ ყველაფერს არ და ვერ ვუპასუხებ, თუმცა არავის მივცემ უფლებას, წამიკითხოს მორალი კანონის დაცვაზე. ვიღაცას შეიძლება არ მოვწონდე, პიროვნული კრიტიკული დამოკიდებულება ჰქონდეს, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, ვერ მიმითითებს უკანონო ქმედებაზე ან ბიზნესინტერესზე. ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს. ვინმე ახალ სახელდარქმეული უფლებადამცველი კობაიძე, რომელსაც არ ვიცნობ და არც მსმენია მის შესახებ, გიყვებათ არასერიოზულ კომიკურ ჭორზე. თურმე მის მეგობარს, რომელსაც არ ასახელებს, ვინაა, ვიღაც, რომელსაც ასევე არ აქვს სახელი, მოუყვა, რომ ეკა აკონტროლებს პორტს. არავის სახელი არა აქვს და არაფერ კონკრეტულს არ გეუბნებათ. ასე ხომ ნებისმიერი სისულელე შეიძლება თქვას ადამიანმა? უკვე სარჩელი შევიტანეთ ამ ახალგაზრდა ყმაწვილის წინააღმდეგ, რომ მან ისწავლოს უფლებების პატივისცემა და ასევე, იგრძნოს პასუხისმგებლობა.

**— კაკუშაძე და კობაიძე ერთსა და იმავეს საუბრობენ...**

– რაც შეეხება კაკუშაძეს, ჩემთვის გასაკვირი იყო მისი ქცევა. რა უშლის ხელს, მობრძანდეს ან დარეკოს ჩემთან და ისაუბროს ამ საკითხებზე. იკითხოს, თუ რამე აინტერესებს, მაგრამ, რაც წავიკითხე, იმდენს კი უნდა ხვდებოდეს, რომ ეს მე არ მეხება. ის დაინტერესებული პირია, წარმოადგენს ფოთის პორტის ნავმისადგომების მესაკუთრეების ნაწილს, რომელთაც წლებია, დავა აქვთ სხვა მესაკუთრეებთან.

მოდით, უფრო კონკრეტულად შევხედოთ რასაც გიყვებათ. ყვება ისტორიას, რა დავა იყო ვანო ჩხარტიშვილსა და სხვა პარტნიორებს შორის წლების წინათ. მე მაშინ ოპოზიციაში სააკაშვილის რეჟიმს ვებრძოდი, ეს ხალხი რომ ბიზნესურთიერთობებში იყო. ვის ვისთან რა გარიგება და ურთიერთობა ჰქონდა, ამას ვერც მე გავარკვევ, ვერც თქვენ და ვერც ვერავინ, გამოძიებისა და სასამართლოს გარდა. ჩემთან შემოიტანეს საჩივარი რამდენიმე პირის სახელით, რომლის ადვოკატი იყო კაკუშაძე, მეორე მხარეს იყო სხვა პირები, მათ შორის დოლიძეც, ჩხარტიშვილიც... უამრავი დოკუმენტი იყო წარმოდგენილი და თვეები ვსწავლობდით კომიტეტში ამ საკითხს. ჩემთან რატომ შემოიტანეს? ალბათ, რადგან ფოთის დეპუტატი ვიყავი და სურვილი ჰქონდათ, რომელიმე მხარის პოზიცია დამეკავებინა. მართლაც, ყურადღებით ვსწავლობდი ამ მასალებს და საკითხი მაინტერესებს არა პიროვნულ ჭრილში, როგორც ეს არის კაკუშაძის შემთხვევაში, არამედ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით. პორტის გაყიდვა აწუხებთ ფოთელებს, ჩემს ამომრჩევლებს, ამის თაობაზე ხშირად მესაუბრებიან. პორტი პირველად გაიყიდა კომპანია „რაკიაზე“, შემდეგ „რაკიამ“ გაყიდა უდიდეს უცხოურ კომპანია „მაერსკზე“. პორტი დღეს უცხო კერძო კომპანიის ხელშია და ვინც ამბობს, რომ პორტს პირადი ინტერესით აკონტროლებს ვინმე ხელისუფლებიდან, მით უფრო ეკა ბესელია, ბოდავს. ნეტა, საქართველოს ხელისუფლების ხელში იყოს პორტი და არა უცხო კომპანიის. ფოთელებს ზღვაზე გასასვლელი წაართვეს და „ნაციონალებმა“ ყველაფერი გაუყიდეს, საქართველოს კი სტრატეგიულ ობიექტზე არ მიუწვდება ხელი. მე მაქვს ერთადერთი ახსნა, მას და იმ ადამიანებს, ვისაც ის წარმოადგენს, ჰქონდათ განზრახვა, მე ვყოფილიყავი მათი მხარე, მათი ინტერესები გამეხმოვანებინა. მე არავის მხარე არ ვიქნები, არც მათი, მით უფრო ჩხარტიშვილის, არც როგორც თავად ახსენებს, დოლიძის ან ჯღარკავას და არავის. ერთმანეთში გაარკვიონ, ადრე ვის რა ურთიერთობა ჰქონდათ, რა ინტერესები. პარლამენტის კომიტეტი არ ატარებს საგამოძიებო მოქმედებებს. რასაც ითხოვდა წერილით, რომ გადამეგზავნა პროკურატურაში, გადავუგზავნე. უნდოდათ შეხვედრა ჩემთან, შევხვდი. ერთმანეთსაც შეხვდნენ და ისაუბრეს. ამ შეხვედრას ჩემთან ერთად ესწრებოდა ტრიპოლსკიც, როგორც რეგიონალური კომიტეტის თავმჯდომარე.

**— ამის შემდეგ კიდევ შეხვდით და რაიმეს დაჰპირდით?**

– იყო დაძაბული საუბარი მხარეებს შორის და ამის შემდეგ არც მქონდა სურვილი მათთან ერთობლივი შეხვედრის. მე, ჩემი სტატუსიდან გამომდინარე, ვხვდები ყველას, ვინც კი მოისურვებს და შემეძლება ფიზიკურად შევხვდე, შემომდის ყველა სახის განცხადება და ვიხილავ ათასობით საჩივარს. არსებობს კანონი და სამართლებრივი პროცედურები, რომლის მიხედვითაც უნდა არკვიონ ერთმანეთთან ურთიერთობა შესაბამის ორგანოში.

რაც შეეხება ჯღარკავას, რომელზეც წერს კაკუშაძე. ის ახსენებს ძალიან პატივსაცემ და გამორჩეულ ქალბატონს, ნანა ჩაჩუას, რომელიც ცნობილი ფსიქოლოგი და უკეთილშობილესი ქალბატონი. მისი შვილია ლევან ჯღარკავა. მასთან რაც აინტერესებს კაკუშაძეს, პირადად გაარკვიოს, ჩემს გარეშე. ხოლო რაც შეეხება ჯღარკავას დანიშვნას, ტყუილია, რომ თურმე, მე დავნიშნე ის. ჯღარკავა არის ძალიან კომპეტენტური და გამოცდილი. იყო ასევე ფოთის აღორძინების ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მაშინ არ მუშაობდა არსად ჯღარკავა და როგორც ვიცი, მენეჯმენტით ეხმარებოდა ფონდს. ფონდი არის კერძო პირების დაფუძნებული და დაფუძნდა, პირველ რიგში, ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ასაშენებლად ერთ-ერთი ეკლესიის მოძღვრის ინიციატივით, ასევე, საქველმოქმედო საქმეებისთვის. ჯღარკავა მოგვიანებით დაინიშნა რკინიგზის სტრუქტურაში და ის თავად გასცემს პასუხს იმ საკითხებს, რაც მისთვის არის განკუთვნილი.

**— კაკუშაძე ამბობს, რომ ჯერ დაჰპირდით, საქმეში გარკვევას, შემდეგ კი სხვა გადაწყვეტილება მიიღეთ.**

*გაგრძელება მეექვსე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## FBI-ს დასკვნით სპეკულირება ამორალური საქციელიაო



ირაკლი ღარიბაშვილი ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმის გამოძიების საკითხს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები FBI-ს სახელით სპეკულირებენ.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ არც ერთ ქვეყანას და არც ერთ უწყებას არ სცემენ პატივს, მით უმეტეს, ისეთ ავტორიტეტულ უწყებას, როგორიცაა FBI. ამ უწყების თანამშრომლები საქართველოში ჟვანიას სიკვდილიდან რამდენიმე დღეში ჩამოვიდნენ და ექსპერიმენტი ჩაატარეს. მე არ ვარ ექსპერტი, მაგრამ პროფესიონალებისგან მსმენია, რომ FBI-ს ექსპერიმენტი ზუსტ რეალობას ვერ ასახავდა. კერძოდ, ამ უწყების თანამშრომლებს რა მოცემულობაც დაახვედრეს, იმ მასალებზე დაყრდნობით დაიწერა ეს დასკვნაც. მაგალითად, მე რომ თქვენ მოგცეთ გაყალბებული მასალები, რა თქმა უნდა, მცდარი გზით წახვალთ. ამ დასკვნით სპეკულირება ამორალური საქციელია და „ნაციონალები“ უნდა უფრთხილდებოდნენ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის ავტორიტეტული უწყების პრესტიჟს“, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

მისივე განცხადებით, სამართლიანი იქნება, რომ FBI-მ თავად მოსთხოვოს პასუხი „ნაციონალურ მოძრაობას“ მისი პრესტიჟის შელახვისთვის. ირაკლი ღარიბაშვილი მიიჩნევს, რომ წინა ხელისუფლებამ ამერიკელებს გამოძიებაში მონაწილეობა იმ დოზით მიაღებინა, რა დოზითაც სჭირდებოდა.

„სხვათა შორის, აშშ-ს ელჩმა განაცხადა, რომ მიმართვის შემთხვევაში, დაგვეხმარებიან ჟვანიას საქმის ხელახალ გამოძიებაში. ასეთი შეთავაზება არ იქნებოდა, ამერიკის მხარეს რომ ჰქონდეს პოზიცია, – ჩვენ საქმე სრულად გამოვიძიეთ და კითხვები აღარ გვაქვსო“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი გაიმართება



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, დავით ჯალაღანიას განცხადებით, 25-26 მარტს, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მორიგ რაუნდზე, საქართველოს დელეგაციას, ტრადიციულად, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, დავით ზალკალიანი უხელმძღვანელებს.

როგორც დავით ჯალაღანიამ აღნიშნა, საქართველოს დელეგაცია კიდევ ერთხელ გამოხატავს მკაცრ პროტესტს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ მძიმე ვითარებაზე.

„საქართველოს დელეგაცია თანათავმჯდომარეების ყურადღებას გაამახვილებს უკანასკნელ პერიოდში რუსული სამხედრო ვერტმფრენების მიერ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებადი საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტებზე“, – განაცხადა დავით ჯალაღანიამ.

მისივე თქმით, მოლაპარაკებების ფარგლებში, საქართველოს დელეგაცია კვლავ დააყენებს საკითხს რუსეთის მიერ ძალის გამოუყენებლობის შესახებ ვალდებულების აღების აუცილებლობაზე, ასევე, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების ამუშავების აუცილებლობაზე. განიხილავენ ჰუმანიტარულ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებსაც. (ინტერპრესნიუსი)

## საქართველოს დიდ ბრიტანეთსა და კიდევ სამ ქვეყანაში ელჩი არ ჰყავს



საქართველოს ამ დროისთვის ელჩი ოთხ ქვეყანაში არ ჰყავს – დიდი ბრიტანეთი, მალაიზია, თურქმენეთი და ისრაელი.

დიდ ბრიტანეთში საქართველოს ელჩის თანამდებობაზე ზურაბ ქარუმიძის კანდიდატურის წარდგენის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტროში არ ადასტურებენ. სამინისტროს პრესსამსახურის განცხადებით, ზურაბ ქარუმიძე ამ პოსტზე წარდგენილი არ არის. (ინტერპრესნიუსი)

*მეხუთე გვერდიდან*

– რას გულისხმობს კაკუშაძე, არ ვიცი. მათი შემოტანილი საჩივარი შესწავლის შემდეგ გადავუგზავნე პროკურატურას და სწორედ ამას ითხოვდნენ ისინი, ვისაც ეს პირი წარმოადგენდა. თუ ფიქრობს, რომ მე უნდა ვყოფილიყავი მათი მხარე, ნურას უკაცრავად. მე არავის მხარე არ ვიქნები, ვიცავ მთავარ პრინციპს, სამართლიანობას. თუ დღეს პორტში მონოპოლია გრძელდება, ძალიან ცუდია, ამის წინააღმდეგი ვიყავი და ვიქნები. ამიტომაც ვილებთ ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას. მონოპოლიები იყო სააკაშვილის დროს და ეს უნდა დასრულდეს. ჩვენი ხელისუფლება ამისთვის ყველაფერს აკეთებს და აკეთებს ისე, რომ ბიზნესი არ დააზარალოს. შეუქმნას მათ თავისუფალი სივრცე. იგივეს ვაკეთებთ ჩვენ, ყველა, ადგილებზე. ბიზნესი უნდა იყოს კონკურენტულ გარემოში, ხელისუფლება მას უნდა ეხმარებოდეს დასაშვებ ფარგლებში და არ უნდა ახდენდეს ზეწოლას მასზე.

# რა ბრალდებებს პასუხობს ეკა ბესელია?



**— ვინმე გურამ ნარმანია ბრალს გდებთ იმაში, რომ გიგა ბოკერიას ნათესავ დავით ბაბილუასთან ერთად თევზსაჭერ მეურნეობაშიც გაქვთ წილი.**

– ვისი ნათესავია ბაბილუა და რა აკეთა, არკვიონ, მას ჰკითხონ. ის საკრებულოს თავმჯდომარეა და არც ჩემი ახლობელია, არც „ქართული ოცნების" წევრია და საკმაოდ პრინციპული დამოკიდებულება მაქვს მე პირადად.

**— ცოტა ხნის წინ გერონტი აშორდიაც გიყენებდათ ბრალდებებს და ამბობდა, რომ ბიუჯეტიდან ფული სწორედ თქვენს ბიზნესინტერესებს მოახმარეთ.**

– რაც შეეხება ვინმე აშორდიას, რომელზეც თქვენ ადრე წერდით, მე მაშინ მოგაწოდეთ ინფორმაცია ამ ადამიანზე, კომპრომეტირებული და მატყუარა ადამიანია, მკვლელობის ბრალდება ჰქონდა. პირადად არ ვიცნობ. რაღაც მიწის თაობაზე გვითვლიდა, დამეხმარეთ, თორემ გავავრცელებ ტყუილებსო, რომ მითხრეს, გამეცინა. ეს ადამიანი შესამოწმებელია და მისი მოტივები გამოაშკარავდება. დადის, სადაც შეუძლია და წერს ტყუილებს.

ზოგადად, ფოთის ვითარება თუ არის საინტერესო თქვენთვის, გეტყვით, რომ ფოთის საკრებულოში ჯერ კიდევ „ნაციონალები" არიან ყველა კომისიის თავმჯდომარეები, თანამდებობებზე დღემდე იმყოფებიან. მე თუ საკრებულოს ვაკონტროლებ, როგორ ინარჩუნებენ თანამდებობებს „ნაციონალები"? როგორ მოხდა, რომ „ქართული ოცნების" ფრაქციის ერთადერთი წევრი იყო კომისიის თავმჯდომარედ და ისიც გადააყენეს? ეს ხომ კონკრეტული ფაქტებია? „ნაციონალები" ძარცვავდნენ ფოთს. რომ ჩავედი, მიტოვებული და გაძარცული იყო ქალაქი. კორუფციული ტენდერები ტარდებოდა. ახლაც მოინდომა მავანმა, მთავრობამ გამოუყო ფოთს 12 მილიონამდე და ჩააგდეს პროექტები. მივმართე საგამოძიებო ორგანოებს, რომ გამოიძიონ რა და რატომ მოხდა. გამოძიება უნდა ჩატარდეს, რომ დასრულდეს ეს კორუფციული ინტერესები, ვინც გინდა იყოს. ყველანაირად მიშლიან ხელს ის კრიმინალური ჯგუფები, რომლებიც გავლენას კარგავენ ფოთში, ათას ჭორს ავრცელებენ, მაგრამ არ არსებობს ძალა, რომელიც მე გამაჩერებს. არ მიცნობენ კარგად და ჰგონიათ ასეთი მეთოდებით მოახდენენ ზეწოლას.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დავით სერგეენკო მთავრობის საქმიანობას პოზიტიურად აფასებს

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს განცხადებით, მთავრობაში ცვლილებები გამოწვევების გათვალისწინებით განხორციელდება. მინისტრმა მთავრობის საქმიანობაც შეაფასა.

„ზოგადად, მთავრობის საქმიანობა მთლიანობაში, ჩემი შეფასებით, არის ცალსახად პოზიტიური, ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული. თუმცა, ყოველთვის ჩნდება ახალი გამოწვევები და მნიშვნელოვანია არა კერძო პიროვნება – მე ან ჩემი კოლეგა როგორ ვმუშაობთ, არამედ, როგორ ვითარდება დარგი. შესაბამისად, მე ვფიქრობ, რომ გადაწყვეტილებები იქნება ახალი გამოწვევების შესაბამისი", – აღნიშნა დავით სერგეენკომ. (ინტერპრესნიუსი)

## განათლების სამინისტროს დელეგაცია აშშ-ში გაემგზავრა



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე და მინისტრის მოადგილე გიორგი შარვაშიძე, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრნენ. სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრი და მისი მოადგილე მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო ვიზიტორი ლიდერების პროგრამაში – International Visitor Leadership Program (IVLP).

დაგეგმილია შეხვედრები როგორც სახელმწიფო უწყების, ასევე კერძო ფონდების წარმომადგენლებთან; შეხვედრები გაიმართება მილენიუმის კორპორაციაში, სენატში, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოში (USAID).

თამარ სანიკიძის განცხადებით, ვიზიტი ქვეყნებს შორის საგანმანათლებლო სფეროში ორმხრივ ურთიერთობას გააღრმავებს, რაც საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. (ინტერპრესნიუსი)

## აშშ-ში სააკაშვილის გვარი არავის უხსენებია



შტატებიდან დაბრუნებული, საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე აცხადებს, რომ არც ერთ შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილის გვარი არ თქმულა.

„შეერთებულ შტატებში გამართულ შეხვედრაზე საუბარი იყო ჩვენს ქვეყანაზე, ჩვენს მომავალზე, ამერიკა-საქართველოს ურთიერთობასა და ამ ურთიერთობის გაღრმავებაზე. მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებული ამბები თბილისში გავიგე. მინდა დაგარწმუნოთ, პროკურატურის მხრიდან ადგილი რომ ჰქონდეს პოლიტიკურად ანგაჟირებულ მოქმედებას, ჩვენს მთავრობასა და მთავარ პროკურატურას ემოქმედა სატელეფონო ზარის მიხედვით, ვიღაცის დაკვეთითა და დავალებით, ხელისუფლება ამგვარ ნაბიჯს არ გადადგამდა. მინდა დაგარწმუნოთ, რომ მთავარი პროკურატურა და მართლმსაჯულება არის დამოუკიდებელი. მასზე არავინ ზეწოლას არ ადენს და ის მოქმედებს საკუთარი შეხედულებებისა და გადაწყვეტილებების შესაბამისად". – განაცხადა თედო ჯაფარიძემ.

მისივე თქმით, პროკურატურის მიერ სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარებაში დრამატული არაფერია.

„დაუკითხავთ უამრავი პოლიტიკური ლიდერი. გავიხსენოთ სარკოზი, ბერლუსკონი და კიდევ ბევრი სხვა. აქ საუბარი არ არის ვინმეს დაკავებასა და დაპატიმრებაზე. პროკურატურას აქვს კითხვები, რაზეც სურს, პასუხი მიხეილ სააკაშვილისგან მიიღოს", – განაცხადა თედო ჯაფარიძემ. (ინტერპრესნიუსი)

ახალი ამბები... ახალი ამბები... ახალი ამბები... ახალი ამბები... ახალი ამბები...

## საქართველოში ნარკოტიკების კუთხით არსებული მდგომარეობა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში აისახა




აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა 2014 წლის საერთაშორისო ნარკოტიკების კონტროლის სტრატეგიის ანგარიში (INCSR) გამოაქვეყნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველო სხვა ქვეყნებში წარმოებული ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყანაა.

მასში ასევე ნათქვამია, რომ რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიები საქართველოს სამართალდამცავების კონტროლს მიღმა რჩება.

„საქართველოს ასევე აქვს შიდა ნარკოტიკების პრობლემა. ადგილობრივად წარმოებული ამფეტამინის ტიპის სტიმულატორები (ATS), რომელიც „ჯეფისა" და „ვინტის" სახელითაა ცნობილი, ასევე ადგილობრივად წარმოებული დესომორფინის ოპიოდი, რომელიც „კრაკადილის" სახელითაა ცნობილი, პოპულარობით სარგებლობს. სხვა ნარკოტიკებთან ერთად, ჰეროინი, მეტადონი და მარიხუანა ხელმისაწვდომია ადგილობრივ ბაზარზე", – ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში.

ამასთანავე, ანგარიშში აღნიშნულია, რომ ექიმებმა და ანალიტიკოსებმა შეშფოთება გამოთქვეს საქართველოში „ჯეფისა" და „ვინტის" გაზრდილი მოხმარების გამო, რომლის დამზადება სახლის პირობებშიც შესაძლებელია.

„სახლში ასევე შესაძლებელია „კრაკადილის" დამზადება მედიკამენტებთან კოდეინის შერევით, რომელიც რეცეპტით არის ხელმისაწვდომი, თუმცა ფარმაცევტები მას რეცეპტის გარეშე, „დახლს ქვევიდან" ყიდიან. ამერიკელებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ჯერ ვერ შეიმუშავა სახლში დამზადებული სტიმულატორებისა და ოპიოდების სტაბილურად მზარდი გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის ყოვლისმომცველი მექანიზმი.

გარდა ამისა, ანგარიშში ნათქვამია, რომ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოსული საქართველოს მთავრობა დიდ პრიორიტეტს ანიჭებს ნარკოტიკების კონტროლს, რაზეც მეტყველებს 2013 წელს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ამოღებული ნარკოტიკების რაოდენობა.

„2013 წელს საზღვრის უსაფრთხოების ზომების გაძლიერებამ და გამოძიებისა და ინსპექტირების მიმართ უფრო პროაქტიურმა მიდგომამ ნარკოტიკული საშუალებების ამოღებების მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია. 2013 წელს საქართველოს პოლიციის მიერ ამოღებული 116 კილოგრამი ჰეროინის ფაქტი, წარმოადგენს საქართველოს მიერ საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ამოღების ყველაზე დიდ ოდენობას". – ნათქვამია ანგარიშში. მასში აღნიშნულია ის ფაქტიც, რომ 2013 წლისთვის საქართველოს მთავრობამ გაზარდა ნარკოტიკებთან დაკავშირებული მკურნალობისა და პრევენციის ზომების დაფინანსება.

„საქართველოს მთავრობა აგრძელებს რეფორმების გატარებას სამოქალაქო, საგადასახადო და სამართალდაცვით სფეროებში კორუფციის გამოსავლენად და მისი გამოვლენის შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად. დამკვიდრებული პოლიტიკის თანახმად, საქართველოს მთავრობა არ ახალისებს და არ უწყობს ხელს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო წარმოებასა და დისტრიბუციას, აგრეთვე, ის არ არის ჩართული უკანონო ნარკოტიკული საშუალებების გასაღების შედეგად მიღებული სახსრების ლეგალიზაციაში. ნარკოტიკებთან დაკავშირებით არც ერთი სერიოზული კორუფციის ფაქტი არ დაფიქსირებულა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამართალდამცავ დანაყოფებში და საქართველოს მთავრობა არ ახალისებს და არ უწყობს ხელს ნარკოტიკების ტრაფიკს", – ნათქვამია ანგარიშში. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რისთვის უნდა დაიბარონ ამერიკის ელჩი საგარეო საქმეთა სამინისტროში

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარებით შეშფოთებულია: „ამერიკის შეერთებული შტატები შეშფოთებულია საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, დაკითხვაზე დაიბაროს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე. არავინ არ დგას კანონზე მაღლა, მაგრამ ერთდროულად რამდენიმე გამოძიებაში ყოფილი პრეზიდენტის ჩართვა ბადებს ლეგიტიმურ შეშფოთებას პოლიტიკურ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით, მით უფრო, როცა სამართლებრივი და სასამართლო ინსტიტუტები ჯერ კიდევ მყიფეა. როგორც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ვაშინგტონში თებერვალში გამართულ უმაღლეს შეხვედრაზე ითქვა, ამერიკის შეერთებული შტატები მოუწოდებს საქართველოს ლიდერებს, ქართველი ერის ენერგია მომავალს, ძლიერ ეკონომიკას, მართლმსაჯულების სექტორის შემდგომ რეფორმებსა და ევროატლანტიკურ ინტეგრაციის სწრაფ პროგრესს მოახმარონ“.

სამაგიეროდ, არც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი და არც ევროკავშირი არ არის შეშფოთებული, რომ შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, კარლ ბილდტი მოსყიდული ჰყავს სააკაშვილს და ამიტომაც აკეთებს ეს ადამიანი დამნაშავე რეჟიმის დამცავ განცხადებებს. არავინ შფოთავს იმაზე, რომ კარლ ბილდტის ლობისტური კომპანია, რომელიც ცოლის სახელზე აქვს გაფორმებული, იმ ლობისტურ კომპანიებს შორისაა, რომელთაც აფინანსებდა სააკაშვილი და ეს კონტაქტები დღესაც გრძელდება. ინკოგნიტო წყაროს ინფორმაციით, კარლ ბილდტს არაერთხელ აღუნიშნავს კულუარებში, ანუ ახლო მეგობრების წრეში, რომ მან კარგად იცის სააკაშვილის არაერთი დანაშაულის შესახებ, მაგრამ ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე, მაინც მხარს უჭერს. სხვათა შორის, კარლ ბილდტი იმ ევროპელი ჩინოვნიკების სიაშია, რომელთა შესახებაც სააკაშვილს აქვს კომპრომატები... კერძოდ, ვის, სად და როდის ერიცხება თანხები. ამიტომ, როგორც კი სააკაშვილი წითელ ღილაკს თითს დააჭერს, ბილდტი მის მხარდამჭერ განცხადებებს აკეთებს.

არც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი და არც ევროკავშირი არ არის შეშფოთებული იმაზე, რომ სააკაშვილის მიერ მოსყიდული მეთიუ ბრაიზა კერძო ინტერესებით მოქმედებს და მას არ შეუძლია თურქეთში გადახდილი ქორწილის დავიწყება, რომლის მთელი ხარჯები ჩვენი ჯიბიდან წავიდა. ეს იყო 2007 წლის 25 აგვისტოს, როცა ბრაიზამ ცნობილ ზეინო ბარანზე იქორწინა. აქ მარტო ქორწინებაში არ არის საქმე, ამ „ნაციონალ“ ჩინოვნიკს სააკაშვილთან სხვა საეჭვო ფინანსური ურთიერთობებიც ჰქონდა და ახლა ამიტომაც აცხადებს, საქართველო მაპ-ის ღირსიც არ არისო.

როგორც პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ასე არ აღშფოთებულა მაშინაც კი, როცა რუსებმა კოდორის ხეობა და ახალგორი წაიღეს: „აქ ერთი საინტერესო მინიშნებაა, – ახსენებენ ღარიბაშვილის ვიზიტს ამერიკაში. ვერ გავიგე, იქ უთხრეს ღარიბაშვილს, შენ ეკონომიკას მიხედე, სასამართლო პროცესებს თავი დაანებეო? არა მგონია, ასე ყოფილიყო, მაგრამ ეს რას ნიშნავს? ჩვენ ძალიან ბევრს ვმსჯელობთ და რატომღაც ყველას გამოგვრჩება ხოლმე ამერიკის საელჩოს როლი. როდესაც „ოცნების“ წარმომადგენლები ლაპარაკობენ, ეს ყველაფერი მიშას ლობისტების ბრალიაო, რატომ არ ამბობენ, აქ ამერიკის საელჩო რისთვის არის? ობიექტური ინფორმაცია სწორედ ამ სტრუქტურამ უნდა მიაწოდოს ცენტრს. ახლა ჩვენს საგარეო საქმეთა სამინისტროში უნდა დაიბარონ ამერიკის ელჩი, რიჩარდ ნორლანდი და ჰკითხონ: ამ განცხადებას თქვენ ეთანხმებით? ეს არის დიპლომატიური მეთოდი, მაგრამ დღეს ჩვენში საამისო „ობსილა“ არავის არა აქვს. ორი დღის წინ ვუსმინე გიორგი ვოლსკის, სააკაშვილს ეშინიაო. არა, ამ განცხადების შემდეგ სააკაშვილი ზეიმობს. მოდი, ვიყოთ გულახდილები, უკვე აქვს ამის საბაბი, ახლა გამოვა და იტყვის, მსოფლიოს პირველი სახელმწიფო ამბობს, რომ მე მდევნიანო. როგორც კი სახელმწიფო დეპარტამენტმა განცხადება გამოქვეყნდა, ოფიციალურ თბილისს ეს უნდა გაეპროტესტებინა, მაგრამ ეს აზრადაც არავის მოსვლია“.

როგორ უნდა მოიქცეს დღევანდელი ხელისუფლება, თუკი სააკაშვილი მართლაც არ გამოცხადდება 27 მარტს დაკითხვაზე? დღეს კეთდება ათასნაირი განცხადება, გარდა ერთისა – ქართველი პროკურორები უნდა ჩავიდნენ ჰოლანდიაში და იქ დაკითხონ სააკაშვილი. თუ იქაც თავს აარიდებს, მაშინ სრული უფლება ექნებათ, ძებნა გამოაცხადონ. ამ შემთხვევაში ველარც სახელმწიფო დეპარტამენტი ამოიღებს ხმას.

კიდევ ერთი სკანდალური ამბავი, რომლის შესახებაც ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივანი, თამაზ ბაკურიძე უყვება „ალიას“ (სხვათა შორის, არც ამაზე შეშფოთებულა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი): „რამდენიმე წლის წინათ საქართველოში იყო ჩამოსული ამერიკელი ჟურნალისტი, გვარს ვერ დავასახელებ იმიტომ, რომ არ მაქვს მისგან ნებართვა. ამ ჟურნალისტმა მოკლე დროში შეძლო სააკაშვილის დანაშაულებრივ საქმიანობაზე მასალების მოგროვება. ამის შესახებ გაიგო მიშას დედამ, გიული ალასანიამ და თვითონვე გამოთქვა სურვილი, მას შეხვედროდა და გაეცნო. ამის შემდეგ გიულიმ ამერიკელი ჟურნალისტი გააცნო მიშას, მაგრამ როცა მან უფრო მოუმატა კორუფციულ სქემებში ჩახედვას, გაიტაცეს, მაგრად სცემეს და მტკვრის პირას დააგდეს, მთლად ვერ გასწირეს, მაინც ამერიკელი იყო. ეს ყველაფერი გააკეთა კონტრდაზვერვამ, ვინმე ორჯონიკიძემ ისიც კი უთხრა, თუ ბინძურ საქმიანობას თავს არ დაანებებ და აქედან არ წახვალ, ცოცხლად დაგმარხავო. ამერიკელმა ჟურნალისტმა თავს უშველა და დაბრუნდა თავის სამშობლოში, ის თავის დროზე ძალიან კარგად იცნობდა მეთიუ ბრაიზას, მასთან იყო დაახლოებული. როცა ამერიკაში ჩავიდა, შეხვდა „ეფბიაის“ იმ ჯგუფის ერთ-ერთ აგენტს, რომელიც საქართველოში იყო ჩამოსული ჟვანიას საქმეზე. მას უთქვამს, „ეფბიაის“ წარმომადგენლები საქართველოში სასწრაფოდ იმიტომ ჩავედით, რომ სააკაშვილი „გაგვესუფთავებინაო“. ეს აგენტიც ასევე ყოფილა მეთიუ ბრაიზასთან დაახლოებული პირი“.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი ამბობს, თურმე ბრაიზა წუხს, ჩემს ყველა ნათქვამ სიტყვას საქართველოში სხვანაირად თარგმნიან, არ მითქვამს, რომ საქართველოს მაპ-ი აღარ ეკუთვნისო. უსუფაშვილს დაუმშვიდებია, შენ არ ხარ ერთადერთი, ვისი სიტყვებიც სხვანაირად იქნება ინტერპრეტირებულიო. ალბათ, ბრაიზა მალე იმასაც იტყვის, ზეინო ბარანს საერთოდ არ ვიცნობ, ქორწილი მიხეილ სააკაშვილს არ გადაუხდია თქვენი ფულითო. ვერაფერს იტყვი, კარგი მიგნებაა, მაგრამ ერთი რამ ცხადია და სამწუხაროც, ჩვენ დემოკრატიაზე გველაპარაკებიან ის უცხოელი ჩინოვნიკები, რომლებსაც საეჭვო ფინანსური კავშირები აქვთ მიხეილ სააკაშვილთან და „ნაციონალურ მოძრაობასთან“.

»»» გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მინისტრები აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2014 წლის საერთაშორისო ნარკოტიკების კონტროლის სტრატეგიის ანგარიშს ეხმაურებიან



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს განცხადებით, საკანონმდებლო ცვლილებებმა აღნიშნული პრობლემები უნდა დაარეგულიროს.

„დარწმუნებული ვარ, საკანონმდებლო ცვლილებების კუთხით გადადგმული ნაბიჯები აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად ეფექტური იქნება. რეგულაციები, რომელიც სააფთიაქო აქტივობებს არეგულირებდა, ზედმეტად ლოიალური იყო და ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში, აფთიაქს საშუალება ჰქონდა, არალეგალური მიმართულება ისევ განეხორციელებინა სახეცვლილი ფორმით. მედიკამენტები, რომლებიც ნარკოტიკული თრობისთვის გამოიყენება, თავისუფლად იყიდებოდა და ეს ასე აღარ არის, რადგან უკვე რეცეპტით რეგულირდება“. – განაცხადა დავით სერგეენკომ.

საქართველოს შს მინისტრის ალექსანდრე ჭიკაიძის თქმით, შსს ყველაფერს აკეთებს, რათა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა აღკვეთოს. ამასთანავე, მინისტრმა არ გამორიცხა, რომ ამ კუთხით, ერთ-ერთ პრობლემას ოკუპირებული ტერიტორიების პოლიციური კონტროლს მიღმა დარჩენა ქმნის.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2014 წლის საერთაშორისო ნარკოტიკების კონტროლის სტრატეგიის ანგარიშის მიხედვით, საქართველო სხვა ქვეყნებში წარმოებული ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყანაა; სახლში შესაძლებელია „კრაკადილის“ დამზადება მედიკამენტებთან კოდეინის შერევით, რომელიც რეცეპტით არის ხელმისაწვდომი, თუმცა ფარმაცევტები მას რეცეპტის გარეშე, „დახლს ქვევიდან“ ყიდიან. (ინტერპრესნიუსი)

## საკანონმდებლო ორგანომ პრეზიდენტის შენიშვნები გაითვალისწინა



საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე შეთანხმება მიღწეულია.

პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებით, საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ახალ კანონპროექტზე, რომელიც პარლამენტში მთავრობის ინიციატივით შემოვიდა, კონსტრუქციული კონსულტაციები შედგა.

ვთვლი, რომ პრაქტიკულად ყველა საკითხზე მივაღწიეთ ძალიან სწორ შეთანხმებას, მათ შორის კონტრასიგნაციასთან დაკავშირებულ თემაზეც“, – აღნიშნა დავით უსუფაშვილმა. მისივე თქმით, ძალიან კარგია, რომ პრეზიდენტი და მისი აპარატი აქტიურად არის ჩართული ქართული საკანონმდებლო საქმიანობის ადრეულ ეტაპზე, რაც პარლამენტს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში ეხმარება.

პრეზიდენტი არ იზიარებს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანულ კანონში საპრეზიდენტო არჩევნებამდე განხორციელებული ცვლილებების არსს და ასევე ამავე სახელწოდების სრულიად ახალი კანონპროექტის იმ ნაწილს, რომლის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეობის მიღება და აღდგენა პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას დაექვემდებარა. პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საქართველოს მოქალაქეობის საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებამოსილებაა. საუბარია პროცედურაზე, როცა პრეზიდენტის მიერ გამოცემულ აქტს პრემიერ-მინისტრის ხელმოწერა სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალაში ვერ შევა.

აღნიშნულთან დაკავშირებით პრეზიდენტის შენიშვნები პარლამენტში ოფიციალური დოკუმენტის სახით არის წარდგენილი. (ინტერპრესნიუსი)

# ჯავახეთის სომხები რუსულ პასპორტებს ითხოვენ?



„ალიასთვის“ ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე დღეა, შვეიცარიის საელჩოსთან სამცხე-ჯავახეთიდან ჩამოსული ადამიანების რიგი დგას. ისინი საელჩოს რუსეთის ვიზების თაობაზე მიმართავენ და რუსული პასპორტები სურთ. რამ განაპირობა ამ ადამიანების სურვილი და მართალია თუ არა სომეხი დეპუტატი შირაკ ტოროსიანი, როცა ამბობს, რომ საქართველოსთან კარგი ურთიერთობები სომხეთს ჯავახეთის დათმობის ხარჯზე უწევს, ხოლო თუ საქართველო ნატოსა და ევროკავშირს აირჩევს, მაშინ ჯავახეთში პოლიტიკური ესკალაცია გარდაუვალია?

**კომენტარისთვის „ალია“ „მრავალეროვანი საქართველოს“ ხელმძღვანელს, არნოლდ სტეფანიანს დაუკავშირდა:**

**— ბატონო არნოლდ, რა ხდება, ჯავახეთის მოსახლეობა რუსულ პასპორტებს რომ ითხოვს, ასეთ დაძაბულ პოლიტიკურ ფონზე ეს ფაქტი რუსეთის წისქვილზე არ დაასხამს წყალს?**

– მე ვერ ვიტყვი, რომ ხალხმრავლობაა საელჩოსთან, მათი რაოდენობა იმაზე ნაკლებია, ვიდრე 2002 ან 2003-ში იყო. არამხოლოდ საქართველოში ხდება ეს და არამხოლოდ ჯავახეთის მოსახლეობაში. სომხეთში, მაგალითად, ეს ტემპები გასამმაგებულია.

**— შირაკ ტოროსიანის განცხადებამ ხომ არ მისცა ბიძგი ჯავახეთის მოსახლეობას?**

– არა, შირაკ ტოროსიანის განცხადება ვერავითარ ბიძგს ვერ მისცემს ვერაფერს, იმიტომ რომ ეს ადამიანი ის პიროვნება არ არის სომხეთში, რომელიც თუნდაც ნახევრად სერიოზულ საკითხებს წყვეტს. ტოროსიანის განცხადება არაკომპეტენტურია, იმიტომ რომ, თუ საქართველო გახდა ნატოს წევრი, ეს ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ჯარი ხდება ნატოს ჯარი. ნატოს ფიზიკურად არ აქვს ფორმატი, რომ ერთი ქვეყნის ჯარმა მეორე ქვეყანაში ბაზა გახსნას. არაკომპეტენტურია განცხადება, რომ, თუ საქართველო ნატოში შევა, არის რისკი, თურქეთის ჯარი შემოვიდეს საქართველოში. ჯავახეთის მოსახლეობა მიისწრაფვის რუსეთისკენ. აქაური სომხებისთვის რუსეთში გასვლა ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ მათი ბევრი ნათესავი მუშაობს რუსეთში და იქიდან უგზავნიან ფულს. ისინი ადრეც გადიოდნენ, მუშაობდნენ, გარკვეულწილად მყარი ეკონომიკური პოზიციები აქვთ იქ. ეს ყოველთვის ასე იყო, ბოლო 20 წელი მაინც. ყველაფერი, რაც ხდება, ლოგიკურია.

– ეს რუსების მხრიდან, როგორც მათ სჩვევიათ, ნაციონალიზმზე თამაში ხომ არ არის?

– მაგაში გეთანხმები სრულებით. ეს განცხადება პირველი არ არის, რაც ტოროსიანმა გააკეთა. ასეთი განცხადება დეკემბერშიც იყო და ის განცხადება გააკეთა ჯავახეთის რუსულმა დიასპორამ. ის განცხადებაც აბსოლუტურად არაკომპეტენტური იყო. იმ განცხადებაში არა მხოლოდ ნატოზე, არამედ ევროკავშირზეც იყო საუბარი. აბსოლუტურად არ მესმის ლოგიკური ჯაჭვი. განცხადებაში საუბარი იმაზე იყო, რომ, თუ საქართველომ ხელი ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა და კანდიდატობის წევრი ქვეყანა გახდა, არსებობს რისკი ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაციისა, კონკრეტულად ეთნიკური სომხების მიმართ.

**— საქართველოსთან კარგი ურთიერთობები სომხეთს ჯავახეთის დათმობის ხარჯზე უწევსო. ეს რას ნიშნავს?**

– წლების წინათ მე მქონდა შესაძლებლობა, შირაკთან მესაუბრა მაგ თემებზე. ამ აზრზე დგას და ნუ, რა ვქნათ, არასერიოზულია.

**— ტოროსიანი ამბობს, რომ ჯავახეთის სომხებისგან მუდმივად არსებობს პრეტენზიები, მათი უფლებების შელახვის შესახებ. აქვს ტოროსიანის ნათქვამს საფუძველი?**

– დისკრიმინაციასთან დაკავშირებით მინდა გითხრა, რომ ჩვენ თვითონ ვუქმნით სერიოზულ პრობლემას ქვეყანას, იმის გამო, რომ ამ შემთხვევაში ვლახავთ ამ ადამიანების ენობრივ უფლებას. წლების მანძილზე ამ ადამიანებს ვერ ვასწავლეთ ქართული ენა, შესაბამისად, როგორც შედეგი, ისინი დღეს სხვა ქვეყნების საინფორმაციო სივრცეში ცხოვრობენ. უყურებენ სომხეთისა და რუსეთის ტელევიზიებს. ვეუბნებით, რომ ჯერ ისწავლონ ქართული და მერე მოხდება მათი ინტეგრაცია, ჯერ ისწავლონ ქართული და მერე ვილაპარაკოთ მათ უფლებებზე. ამასობაში დროს ვკარგავთ, ეს ძალიან ცუდია იმ მხრივ, რომ ის ადამიანები რადგან სხვა ქვეყნის საინფორმაციო სივრცეში ცხოვრობენ, ფიქრობენ სხვადასხვა კატეგორიებით. არანაირი სტიმული არ აქვთ იმისთვის, რომ საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაერთონ. რუს პოლიტიკოსებზე უფრო მეტი იციან, ვიდრე, მაგალითად, ბაქრაძეზე, ან ნებისმიერ სხვა ქართველ პოლიტიკოსზე. ეს, რა თქმა უნდა, დამატებით და ძალიან სერიოზულ რისკებს ქმნის. ინფორმაციულად, აგვისტოს ომის დროსაც აქტიურად მუშაობდნენ რუსები ჯავახეთის მოსახლეობაზე. მხოლოდ ჯავახეთის მოსახლეობასთან კი არა, ყველგან მუშაობენ, სადაც შეუძლიათ, სადაც ხელი მიუწვდებათ. უბრალოდ, ეთნიკური უმცირესობები ძალიან სათუთი თემაა. თეორიულად ყველგან არსებობს რისკი მტრული პოლიტიკის გასატარებლად, უბრალოდ, ჯავახეთი არის უფრო მარტივი მაგალითი და უფრო ეფექტიანი რუსეთისთვის იმ შემთხვევაში, თუ ნაღმები ააფეთქეს.

**— თუ ჯავახეთის მოსახლეობის უმეტესობა მოითხოვს რუსეთს, გამოდის, რომ ჯავახეთის დაკარგვის ძალიან დიდი საფრთხე არსებობს.**

– ძალიან კარგია, რომ საქართველოს ეროვნულ ინტერესებში ამ ტერიტორიის დაცვა შედის და არა მხოლოდ ამ ტერიტორიის, ამიტომ ეს არ მოხდება. მერწმუნეთ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც სპეციალურად მაგაზე მუშაობენ, რომ ნეგატიური ტალღები წაიღონ და გაავრცელონ ჯავახეთში. იმათგანაც მერე, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობა მოდის. ეს დამატებითი რისკია, რომელსაც ცოტა ფრთხილად უნდა მივუდგეთ. არ უნდა მივცეთ არავის არანაირი მიზეზი, რომ რაიმე ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენონ.

**— რამდენად მიზანმიმართული პოლიტიკა აქვს დღევანდელ ხელისუფლებას ჯავახეთის მიმართ?**

– ჩვენ ჯავახეთთან გვქონდა პოლიტიკა, რომ შევქმნათ რაღაცა ვიწრო სივრცე, იმისთვის რომ ეს ხალხი კონტროლქვეშ გვყავდეს. ეს სხვადასხვა ბერკეტებით ხორციელდებოდა არამხოლოდ ჯავახეთში, სხვაგანაც. ჯავახეთი სპეციფიკური რეგიონია. აქ ძალიან დიდი პრობლემები იყო ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ, დისკრიმინაციის მხრივ, ეკონომიკურ პრობლემებს უქმნიდნენ სპეციალურად, პოლიტიკური დევნა იყო, როგორც ყველგან, მაგრამ, რადგან ჯავახეთი სპეციფიკურია, სხვანაირად ვითარდებოდა ეს ყველაფერი. ჩვენ დღეს იქ არ გვყავს იდეოლოგიური პარტნიორი, ადამიანი, რომელიც გამოვა და იტყვის, მე პოლიტიკურად ქართველი ვარ, რომ ეს ჩემი ქვეყანაა და მე მას დავიცავ. მე ცალკეულ ადამიანებზე არ მაქვს ლაპარაკი, მე სერიოზულ ძლიერ კლანებსა და ჯგუფებზე ვსაუბრობ, რადგან ისინი არიან აზრის შემქმნელები. სწრაფად და ძალიან ეფექტურად უნდა მოვახდინოთ ის, რომ იმ ადამიანების გული მოვიგოთ, რომლებიც ამინდს ქმნიან რეგიონში, ან პოტენციალი აქვთ, რომ შექმნან. ვეცადოთ, რომ სამოქალაქო საზოგადოებაში შევქმნათ პარტნიორები, ანუ ის ადამიანები, რომლებიც სახელმწიფოებრივ ღირებულებებზე იქნებიან ორიენტირებულები. არიან იქ ჯანსაღი ძალები და აქცენტი უნდა გავაკეთოთ მათზე. ეს ორი წელია ისეთი ზეწოლა აღარ არის, როგორიც იყო, მაგრამ ხალხს ახსოვს ის, რომ ქართული სახელმწიფო იყო მხოლოდ და მხოლოდ პოლიციელის „დუბინკა“, ანუ სახელმწიფოს აღქმა ხდებოდა პოლიციელის „დუბინკის“ მეშვეობით. სასწრაფოდ უნდა შევცვალოთ პოლიტიკა. ხელისუფლება ცვლის, მაგრამ ახალი პროდუქტი ჯერ არ შემოუთავაზებია. ახლის შემოთავაზება სასწრაფოდ უნდა მოხდეს, იმიტომ რომ ბევრი დრო არ გვაქვს და სწრაფი სიახლის შემოთავაზებით ექსტრემისტებს უნდა ვუპასუხოთ.

ჟანა ასანიძე

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რას გრძნობს ყოფილი პრემიერი ყოფილი პრეზიდენტის მიმართ?




საპარლამენტო უმცირესობის წევრის, გოკა გაბაშვილის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილს მიხეილ სააკაშვილის მიმართ პათოლოგიური შიში და შიზოფრენიული ბოღმა ამოძრავებს.

„მიხეილ სააკაშვილი დღეს არის ერთ-ერთი აქტიური საერთაშორისო მოღვაწე და ლიდერი ანტიპუტინური ფრონტისა. ეს ასეა საქართველოს გასული წლების მოვლენების გათვალისწინებით და აქედან გამომდინარეობს ივანიშვილის პათოლოგიური შიში, შიზოფრენიული ბოღმა სააკაშვილის მიმართ, რომელსაც ვერ ფარავს მაშინაც კი, როცა ქვეყნის წინაშე უმნიშვნელოვანესი გამოწვევები დგას. დღეს სულ სხვა რამეზე უნდა ფიქრობდეს ქვეყნის მთავრობა და მისი ფაქტობრივი ხელმძღვანელი ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ ის ფიქრობს ისევ საკუთარ ბოღმასა და თავის მიმართულებაზე, რაც დიდი ხნის წინ დაადეკლარირა – ეს არის ოპოზიციისა და მისი ლიდერის განადგურება“, – განაცხადა გოკა გაბაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ვის შეცვლის ღარიბაშვილი ყველაზე სწრაფად?




საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი, ყველა მინისტრის მუშაობით კმაყოფილი არ არის. მას რამდენიმე მათგანთან შენიშვნები აქვს, თუმცა ვინაობას არ ასახელებს.

„არ ვარ აღფრთოვანებული ყველა მინისტრის მუშაობით. მე მათგან და უპირველესად, საკუთარი თავისგან, მაქსიმუმს მოვითხოვ. მაქვს შენიშვნები რამდენიმე მინისტრთან თუმცა ჯერ ამაზე საუბრისგან თავს შევიკავებ“, – აცხადებს ღარიბაშვილი.

პრემიერი მინისტრებს იმ იმედით აკვირდება, რომ ისინი მენეჯმენტში არსებულ პრობლემებს გამოასწორებენ. მოგვიანებით კი, შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.

„არაერთხელ მითქვამს, რომ ჩვენს მთავრობაში არავინ არ არის შეუცვლელი და თუ ვინმეს თავი შეუცვლელი ჰგონია, სწორედ ის შეიცვლება ყველაზე სწრაფად“, – აღნიშნავს პრემიერ-მინისტრი. (ინტერპრესნიუსი)

## „მეცხრე არხს“ თანამგზავრული მაუწყებლობის ლიცენზია შეუწყდა

ყოფილი „მეცხრე არხელების“ საინიციატივო ჯგუფის ინფორმაციით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ტელეკომპანია „მეცხრე არხს“ თანამგზავრული მაუწყებლობის ლიცენზია შეუჩერა.

„საზოგადოებაში ვრცელდება არაერთგვაროვანი ინფორმაცია, ამიტომ საჭიროდ ვთვლით განმარტების გაკეთებას. დღეს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ თანამგზავრული მაუწყებლობის ლიცენზია შეუჩერა ტელეკომპანია „მეცხრე არხს“, რაც იმას ნიშნავს, რომ მაუწყებლობის აღდგენის შემთხვევაში შპს „მეცხრე არხი“ ვერ ისარგებლებს თანამგზავრის გამოყენებით. თუმცა, პროცედურულად იგივე ლიცენზიის მიღება კომისიის წესებისა და კანონით დადგენილი ნორმების მიხედვით 20 დღეში მარტივადაა შესაძლებელი, თუ მფლობელებმა მიიღეს არხის მაუწყებლობის განახლების გადაწყვეტილება.

ამასთანავე, შპს „მეცხრე არხი“ ამჟამად ავტორიზებული კომპანიაა, რაც იმას გულისხმობს, რომ მფლობელების თანხმობისა და სურვილის შემთხვევაში ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი მაუწყებლობის განახლება საკაბელო ტელეარხების მეშვეობით მთელი ქვეყნის მასშტაბით.

სამწუხაროდ, ამ დრომდე საინიციატივო ჯგუფის წევრებს, რომლებიც ყოფილი 150 „მეცხრე არხელის“ სახელით ვმოქმედებთ, არ გამოხმაურებიან შპს „მეცხრე არხის“ მფლობელები“. – ნათქვამია საინიციატივო ჯგუფის განცხადებაში.

გამოკითხვამ, რომელიც სამი დღის განმავლობაში მხოლოდ დედაქალაქში, სპონტანური შერჩევით მიმდინარეობდა, ცხადყო, რომ „მეცხრე არხის“ მაუწყებლობის აღდგენას 7000-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე ემხრობა. ასევე, სოციალურ ქსელში 5500-ზე მეტ მომხმარებელს, რომელთა ასაკი 16-დან 65 წლამდე მერყეობს, მოწონებული აქვს გვერდი – „დაუბრუნეთ მეცხრე არხი მაყურებელს“. კვირის განმავლობაში, გვერდზე წვდომა 130.176 (ასოცდაათი ათას ინტერნეტ მომხმარებელს) IP მისამართს ჰქონდა.

საინიციატივო ჯგუფის წევრები აცხადებენ, რომ კამპანია კვლავ გაგრძელდება და რეგიონებშიც გადაინაცვლებს.

„ჩვენ ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ თქვენს აქტიურობას სათანადოდ დააფასებენ კომპანიის მფლობელები და შეხვდებიან ჩვენი ჯგუფის წარმომადგენლებს“, – ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ რუსუდან წერეთელი, გიორგი ფოფხაძე და რამაზ სამხარაძე. (ინტერპრესნიუსი)

## გიორგი ბარამიძე შიშობს, რომ სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარება ქვეყნის წინსვლას ხელს შეუშლის



„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, გიორგი ბარამიძე კიდევ ერთხელ გამოეხმაურა მთავარი პროკურატურის გადაწყვეტილებას, მოწმის სტატუსით დაკითხოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და აღნიშნა, რომ ხელისუფლების მოქმედებები ხელს უშლის ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით წარმატებულად განვლილ გზას.

„მაშინ, როცა რუსეთის აგრესიის მორიგი ტალღა გვიახლოვდება, ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლება ამაზე რეაგირებას ახდენდეს, დაკავებულია ოპონენტებთან პოლიტიკური ბრძოლით და ქმედებებით, რაც აშკარად უშლის ქვეყანას, გააგრძელოს წარმატებული გზა ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით. მთავრობა დღეს დაკავებული უნდა იყოს იმ პრობლემების მოგვარებით, რაც ქვეყნის წინაშე დგას და არა ოპონენტების წინააღმდეგ ბრძოლით“, – განაცხადა გიორგი ბარამიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## შალვა რამიშვილი ტელევიზიას უბრუნდება



შალვა რამიშვილი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობას ტოვებს და ძველ საქმიანობას უბრუნდება.

აღნიშნული მან „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე დაადასტურა:

„ძვირფასო მეგობრებო, უკვე სამ თვეზე მეტია ველაპარაკები ერთ-ერთ ტელევიზიას ამ უკანასკნელის ეთერში შოუს გაკეთების თაობაზე. თვის ბოლოს ამ გადაწყვეტილებას ოფიციალურად გავაფორმებ. მანამდე კი ადმინისტრაციაში ვარ დაკავებული მიმდინარე საქმეების დამთავრებით.

P.S. ეს გადაწყვეტილება არაა დაკავშირებული პოლიტიკურ სიტუაციასთან. უბრალოდ ვუბრუნდები იმ ხელობას, რომელიც ჩინოვნიკობაზე უკეთ გამომდის. ამასთანავე, ვრჩები პრეზიდენტ მარგველაშვილის მხარდამჭერად და გულშემატკივრად“, – აცხადებს რამიშვილი.

არსებული ინფორმაციით, შალვა რამიშვილს მაყურებელი ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში იხილავს. (ინტერპრესნიუსი)

# რატომ ვერ მიიღო პარლამენტმა „ნაცპარტიის“ ამკრძალავი კანონპროექტი?



„ალიასთვის“ ცნობილი გახდა, რომ ორი დღის წინ საქართველოს პარლამენტში მოეწყო საკანონმდებლო ინიციატივების განხილვა, რომელთაგანაც ერთ-ერთი იყო „1992-2012 წლებში საქართველოში მოქმედი დანაშაულებრივი პოლიტიკური რეჟიმის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების შესახებ“. საინიციატივო ჯგუფს, რომელსაც წარმოადგენდნენ, მევლუდ მამადაშვილი, ჯემალ ჯიქია, გელა სალუაშვილი და ნუგზარ წიკლაური, მაშინვე უფიქრიათ, ერთ სხდომაზე ერთდროულად ხუთი საკითხის განხილვის ჩანიშვნა, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ უმრავლესობას უკვე ჩამოყალიბებული აქვს უარყოფითი პოზიცია ამ ინიციატივასთან დაკავშირებით, არ აპირებენ ამ საკითხების გაზიარებას და უნდათ, დროის მცირე მონაკვეთში ე.წ. ფორმალური განხილვა მოაწყონო.

კენჭისყრის შედეგებით საბვთავაზობდით, არამედ ხსენებული პოლიტიკური რეჟიმის დამნაშავედ გამოცხადებასა და ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელთათვის პოლიტიკური უფლებების შეკვეცას მოვითხოვთ: ამ კანონის ძალაში შესვლიდან 5 წლის მანძილზე, უნდა აეკრძალოს საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ გაერთიანებებში ყოფნის, საჯარო სამსახურსა და სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობის უფლება“. – განაცხადეს კანონპროექტის ინიციატორებმა „ალიასთან“ საუბარში.

**რატომ თქვა უარი საპარლამენტო უმრავლესობამ საკანონმდებლო ინიციატივის განხილვაზე და მის მიღებაზე. ამაში გასარკვევად „ალია“ ვახტანგ ხმალაძეს დაუკავშირდა:**

**— ბატონო ვახტანგ, რა დაუწუნეთ ამ საკანონმდებლო ინიციატივას, კანონთან და კონსტიტუციასთან არ მოდიოდა შესაბამისობაში?**

– რომ წაიკითხოთ ეს საკანონმდებლო ინიციატივა, დარწმუნებული ვარ, არ მოგეწონებათ. არგუმენტი ის მაქვს, რომ ამ ინიციატივაში იყო ნაწილები, რომელიც არ შეიძლება, გახდეს კანონის სახე. მაგალითად, მათ უწერიათ, კანონპროექტში პროკურატურას უნდა დაევალოს ესა და ესო. ასეთი რამ არ შეიძლება ჩავწეროთ კანონში.

**— რატომ არ გსურთ და ვერ ახერხებთ, რომ სააკაშვილის რეჟიმი იურიდიულად შეაფასოთ, როგორც დანაშაულებრივი? თქვენ ხომ ამაზე სულ საუბრობდით ოპოზიციაში ყოფნის დროს?**

– კანონში კონკრეტულის დაწერა, რომელიმე პირის თაობაზე, მაგალითად, პასუხისგებაში მიეცეს ედუარდ შევარდნაძე, ან მიხეილ სააკაშვილი... კანონი არის განზოგადებული, განყენებული. „შეირაცხოს დანაშაულებრივ რეჟიმად“ - ასეთი ფორმულირება დაუშვებელია. ასეთი არ შეიძლება იყოს კანონის ენა, ეს შეიძლება იყოს დადგენილება, მაგრამ დადგენილების უფლება არ აქვს გარეშე პირს. მსგავსი საკითხები ადრეც იყო წარმოდგენილი, სხვა ადამიანების მიერ. ვხსნი და ვერ ვახერხებ, ეტყობა, რომ გავაგებინოთ, რატომ არ ხერხდება ეს სამართლებრივად. მათი მოთხოვნა, შეუძლებელია, დაკმაყოფილდეს კანონით. ვერ აიკრძალება „ნაციონალებისთვის“ თანამდებობის დაკავება და ა.შ. სანამ არ იქნება ცნობილი ეს პარტია არაკონსტიტუციურად, ამის გაკეთება კი მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია.

**— როცა „ნაციონალები“ ამბობენ, რომ პოლიტიკური დაკავებებია ქვეყანაში, თუ არ გამოცხადდნენ ისინი, როგორც რეჟიმის შემოქმედნი, როგორ დაუმტკიცებთ თქვენს სიმართლეს საერთაშორისო საზოგადოებას?**

– ეს ვერ იქნებოდა გარანტია, რადგან, ვთქვათ და, სასამართლომ მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება, იგივე უცხოელებს შეეძლებათ, თქვან, რომ ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება და არა სამართლებრივი. ენა ისეთი რამეა, ყველაფერი შეუძლია, თქვას. მე მაქვს ასეთი პოზიცია, მიუხედავად იმისა, ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის მიმართ რა პოზიცია მაქვს, ეს უნდა იქნას სამართლებრივად შეფასებული და გადაწყვეტილებაც სამართლებრივი უნდა იყოს. პარლამენტმა არ უნდა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რისი უფლებაც მას არ აქვს. ძალიან რომ მინდოდეს რამის გაკეთება, თუ კანონი არ მაძლევს უფლებას, ვერ გავაკეთებ. რაც შეეხება იმით აპელირებას, რომ ეს საზოგადოებრივი აზრის შესაბამისია და რატომ არ ვაკეთებთ, მაგალითად, რომ მოვიდეს ვინმე და მითხრას, „ალია“ არ მომწონსო, დავხურავთ? მეტსაც გეტყვით, მოსახლეობის 99% რომ მოვიდეს და მოითხოვოს, მაინც არ ავკრძალავთ „ალიას“, რადგან ეს არც სამართლებრივია, არც კონსტიტუციური. მგონი, ამით აგიხსენით, რის თქმა მსურდა. ნებისმიერი მოქმედება, რასაც მე გავაკეთებ, როგორც კანონმდებელი, უნდა იყოს კანონიერი. ასეთი გადაწყვეტილება თუ მიიღო პარლამენტმა, გასაჩივრების შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო ბათილად ცნობს.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნაცმოძრაობა“ ადგილობრივ არჩევნებზე წინა შედეგის გაუმჯობესებას გეგმავს



ყოფილი მმართველი პარტიის წევრები პოლიტსაბჭოზე შეიკრიბნენ. შეხვედრაზე განხილვის ერთ-ერთ თემას წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და მასთან დაკავშირებული საკითხები. პარტიის წარმომადგენლის, გოკა გაბაშვილის განცხადებით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საპარლამენტო არჩევნებში აიღო 400 ათასი ხმა. ის ადგილობრივ არჩევნებში ამ შედეგის გაუმჯობესებასა და „ივანიშვილის არაფორმალური ოლიგარქიული მმართველობის“ დამარცხებას აპირებს.

„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა, პოლიტსაბჭოზე, მთავარ პროკურატურაში მიხეილ სააკაშვილის მოწმის სტატუსით დაბარებასთან დაკავშირებული თემაც განიხილეს და იმსჯელეს, რა შეიძლება იყოს ხელისუფლების სტრატეგია და ტაქტიკა. (ინტერპრესნიუსი)

## პარლამენტი პრეზიდენტის შენიშვნებზე იმსჯელებს



თუკი პრეზიდენტი მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებული კანონპროექტის გადახედვის საჭიროებას ხედავს, პარლამენტი მზად არის, მის მოსაზრებებთან დაკავშირებით იმსჯელოს, – ასე გამოეხმაურა პარლამენტის ვიცე-სპიკერი ზურაბ აბაშიძე საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხრიდან გამოთქმულ შენიშვნებს, რომელიც პარლამენტს წარედგინა.

„ჩვენ მზად ვართ, ვიმსჯელოთ ამ თემაზე. კარგად ვიცით, რა უფლებები აქვს კონსტიტუციით პრეზიდენტს, მთავრობას და რა უფლებები არ აქვს პრეზიდენტს. ახალი კონსტიტუციური მოდელით, მთელი რიგი კანონები გადაიხედა. მოქალაქეობის შესახებ კანონპროექტი ერთ-ერთი იმ კანონთაგანია, რომელშიც პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა. რადგან პრეზიდენტი მიღებულ ინიციატივას არ ეთანხმება და აქვს თავისი მოსაზრებები, პარლამენტი მას გადახედავს, იმსჯელებს, გაერკვევა მიღებული გადაწყვეტილების სისწორეში და თუკი რაიმე არასწორად გვაქვს მიღებული, ამის გამოსწორებაც შესაძლებელი იქნება“, – განუცხადა ჟურნალისტებს ზურაბ აბაშიძემ.

ამასთანავე, დეპუტატი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხრიდან პარლამენტში გადაგზავნილ შენიშვნებში სახელისუფლებო დაპირისპირების მოტივაციას გამორიცხავს.

საქართველოს პრეზიდენტის შეფასებით, მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და შესაბამისი სამართლებრივი აქტები პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას არ უნდა ექვემდებარებოდეს. (ინტერპრესნიუსი)



# რუსეთი ყირიმში რომ არ შესულიყო, დაიშლებოდა?

**ინტერვიუ ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილთან:**

**— დასავლელი ექსპერტების მტკიცებით, მას შემდეგ რაც დასავლეთი რუსეთს სანქციებს დაუწესებს, „ცივი ომი — 2“ პრაქტიკულად დაწყებულად შეიძლება ჩაითვალოს. რამდენად დიდია „ცივი ომი — 2“-ის დაწყების ალბათობა და, სავარაუდოდ, რა შედეგებით შეიძლება დასრულდეს ის?**

– პოსტიმპერიული სინდრომი რუსეთისთვის ძნელი გადასატანი აღმოჩნდა. პუტინი დღეს სხვა არაფერია, თუ არა რუსული ნეოიმპერიალისტური რევანშიზმის სახე. მან, როგორც ჩანს, ხელისუფლებაში მოსვლამდე აუღო ალღო, რა ძალა ექნებოდა ამ რევანშიზმს და მთელი თავისი პოლიტიკური სტრატეგია მასზე ააგო. „მუხლებიდან წამოდგომის“ იდეას ჰიპნოზური ძალა აღმოაჩნდა. მიუხედავად უკიდურესი გაჭირვებისა, კორუფციისა და არასტაბილური მდგომარეობისა, საშუალო რუსი მოქალაქე გაჩუმებულია და ინტელიგენციის დიდი ნაწილიც ხმას არ იღებს.

დღევანდელი რუსეთი თითქოს ისტორიის ნაგვიანებ სტუმარს წარმოადგენს, მონღოლებისდროინდელი პოლიტიკური ლოგიკის აღდგენას რომ ცდილობს. საუბარი აქ იმაზე კი არ არის, რომ დღევანდელი სამყარო უკეთესია ამ რამდენიმე საუკუნის წინანდელზე, არამედ იმაზე, რომ დღევანდელი სამყარო ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის ენაზე მეტყველებს და რუსეთი თავისი არქაული პოლიტიკური ენით საკუთარ თავს უცხო და მტრული სხეულის, ყველას წინააღმდეგ შეთქმულის მდგომარეობაში იყენებს. სულ რამდენიმე კვირაში დაავიწყა მან ყველას ჩრდილოეთ კორეაცა და ირანიც.

ცალკე პრობლემაა უზარმაზარი სახელმწიფოებრივი სხეული, რომლის მობილურ სახელმწიფოებრივ ორგანიზმად შეკვრაც აქამდე მხოლოდ ივანე მრისხანესა და იოსებ სტალინის ყაიდის პოლიტიკოსებმა თუ შეძლეს. მას არ ჰკრავს ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურა. მისი მთლიანობის უზრუნველყოფა მხოლოდ რაიმე მესიანისტურ იდეასა და იმპერიული ექსპანსიის რეჟიმში ცხოვრებას შეუძლია. საკმარისია, ეს რეჟიმი შეჩერდეს, რომ სხეული რღვევას დაიწყებს, როგორც ეს ბოლშევიკური რევოლუციისა და „პერესტროიკის“ შემდეგ მოხდა. ამდენადაც, ექსპანსიისკენ ამ ქვეყანას თვითგადარჩენის ინსტინქტიც უბიძგებს. პოსტიმპერიული სინდრომი ძალიან ჰგავს იმ დაჭრილი მხეცის მდგომარეობას, რომელიც ნებისმიერი ხერხით ცდილობს თავის გადარჩენას. „აქ ჩვენს ჯარისკაცს უბრძოლია“ ტერიტორიის მისაკუთრების არგუმენტად იქცევა. მეტიც, მათთვის ჯარისკაცის ხელით თითქოს რაღაც უზენაესი სამართალი აღესრულება.

– თქვენი აზრით, ყირიმში განვითარებული პროცესების ფონზე რა შეიძლება იყოს ქართული პოლიტიკის დღის წესრიგის უმთავრესი საკითხი? ანუ, აქვთ თუ არა სახელმწიფო სტრუქტურებს რეალობაზე ადეკვატური ხედვა და რა უნდა გაითვალისწინოს საქართველომ „რუსეთის უკრაინული გაკვეთილებიდან“? საქმეში ჩახედული ადამიანების მტკიცებით, რუსული სპეცსამსახურები საქართველოში საკმაოდ გააქტიურებული არიან... – როგორც მგონია, ხელისუფლების რეაქცია ოპტიმალურია. ცხადია, ჩვენ ვერ ვიქნებით ზედმიწევნით ნეიტრალურნი, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ თავზე ხელის აღებით უნდა გადავეშვათ გეოპოლიტიკურ კონფლიქტში, როგორც ეს ჩვენს ზოგიერთ პოლიტიკური კლაუსტროფობიით დაავადებულ პოლიტიკოსს სურს. მთავარი მოვლენები ჯერ წინაა და თანამედროვე ისტორია ჩვენგან დახვეწილ პოლიტიკურ ტექნიკას მოითხოვს.

**— ასეთ ურთულეს ვითარებაში, რას შეიძლება ნიშნავდეს ბიძინა ივანიშვილის მიერ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მისამართით გაკეთებული კრიტიკული განცხადებები და ამავე განცხადებაზე პრეზიდენტის პასუხი? და კიდევ, რამდენად საფუძვლიანი შეიძლება იყოს ვარაუდი, ივანიშვილ-მარგველაშვილის ურთიერთობების გასაჯაროება ნიშანი იყოს იმისა, რომ მმართველ გუნდში სერიოზული რყევები დაწყებულია?**

– ის, რომ მმართველი გუნდი თავისი არაერთგვაროვნებისა და ერთიანი იდეოლოგიური ხერხემლის უქონლობის გამო ვერ იქნებოდა მონოლითური, უკვე ერთი წლის წინათ ითქვა. აშკარა იყო, რომ სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ ფაქტორის უკანა პლანზე გადაწევა ამ არაერთგვაროვნებასა და ზოგ სხვა გარემოებასაც თანდათან გააშიშვლებდა. ამას ემატება ისიც, რომ კონსტიტუციური ცვლილებები პრეზიდენტისა და პრემიერის კომპეტენციათა ხელახალ გადანაწილებას გულისხმობს, ეს კი, მით უმეტეს საქართველოში, ძნელად ჩაივლის უმტკივნეულოდ. მთავარი მიზეზი მე ეს მგონია. ზოგადად, ცხადია, ადამიანებს ძალაუფლება ხშირად ცვლით. ამაში არაერთხელ დავრწმუნებულვართ. ზოგჯერ სულ სხვაა პოლიტიკოსი არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ. თუ თავიდან ის მეგობრულია და თბილი, არ უნდა გაგიკვირდეთ, თუ არჩევნების შემდეგ მის ნაცვლად საკუთარ თავში დაჯერებული მავანი დაგხვდებათ, ვისაც ეჭვიც არ ეპარება, რომ ყველა გამოიყენა და რომ წარმატება მთლიანად მისი დამსახურებაა. ცხადია, ყველაფერი ეს პიროვნების შინაგან კულტურაზეა დამოკიდებული.

თუმცა, არიან გამონაკლისებიც. მართალია, მარგველაშვილთან თითქმის უკვე ორი წელია არ მაქვს უშუალო ურთიერთობა, მაგრამ შორიდან მრჩება შთაბეჭდილება, რომ ის ერთ-ერთია იმ რამდენიმეს შორის, ვინც არჩევნების შემდეგ ამ თვალსაზრისით ნაკლებად შეიცვალა, ისევე, როგორც არ შეცვლილა თავად ბიძინა ივანიშვილიც. თუკი ვინმეს დღეს მასში რაიმე არ მოსწონს, ყველაფრის შემჩნევა, ალბათ, არჩევნებამდეც შეეძლო. ნამდვილად ვერ გავიზიარებ აზრს მისი კარდინალურად შეცვლის შესახებ. პირადად მე, მას, როგორც პრეზიდენტს, უმთავრესად იმას ვუწუნებ, რომ დღემდე ცდილობს, ფილოსოფოსის აზროვნების ყაიდა და ქცევის მანერა სულ სხვა ასპარეზზე გადაიტანოს. მან ჯერაც ვერ მოძებნა საზოგადოებასთან ურთიერთობის ოპტიმალური ფორმები და მის ქცევაში ზოგჯერ ერთგვარი გაუცხოებაც იგრძნობა.

ასეა თუ ისე, ამ გამჟღავნებული კონფლიქტის წყალობით ქართულ პოლიტიკურ სივრცეზე ახალი მიზიდულობის ცენტრი შეიძლება გაჩნდეს. ყველაფერი მარგველაშვილის საკადრო და პოლიტიკურ გემოვნებაზე იქნება დამოკიდებული და კიდევ იმაზე, რამდენად შეძლებს ის პოლიტიკური ლიდერის როლის ათვისებას. ის ან განთავისუფლდება ივანიშვილის მიერ შექმნილი პოლიტიკური ფიგურის იმიჯისგან და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ლიდერად მოგვევლინება, ან ივანიშვილის წარუმატებელი კრეატურის როლს დასჯერდება.

ფილოსოფოსის ან ბიზნესმენის სალი აზრი, როგორც წესი, შორსაა პოლიტიკური ლოგიკისგან. წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია. გასათვალისწინებელია, რომ „ქართულ ოცნებაში“ მას საკმაოდ სერიოზული და ნიჭიერი კონკურენტი ჰყავს ახალგაზრდა პრემიერის სახით. არც ივანიშვილის მხრიდან ამ უკანასკნელის მხარდაჭერაა მცირე ფაქტორი. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნაციონალური მოძრაობა“ ისტერიკაშია, მაგრამ საგანგაშო არაფერია“



საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის, ირაკლი სესიაშვილის შეფასებით, ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარებასთან დაკავშირებით გამოხატული რეაქციები გადამეტებულია და მსოფლიოში ეს ერთადერთი მაგალითი არ არის.

„მესმის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ისტერიკაშია და ცდილობს, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მკვეთრი რეაქციის გამოწვევას, რათა საკუთარი ტყავი გადაირჩინოს, მაგრამ საგანგაშო არაფერია. თუ ვინმეს ეშინია, ეს სხვა პრობლემაა. ჩვენი სახელმწიფო ნებისმიერი თავისი მოქალაქის მიმართ იქნება ადეკვატური და კანონის ფარგლებში იმოქმედებს. თუ ვინმეს დანაშაული აქვს ჩადენილი, ამაზე, რა თქმა უნდა, პასუხი უნდა აგოს, ეს იქნება ყოფილი, თუ მოქმედი ხელისუფალი – მნიშვნელობა არ აქვს. მსოფლიოში არსებობს ათობით და ასობით მაგალითი, როდესაც პირველი პირები, მაგალითად, საფრანგეთში, იტალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაკითხვაზე არიან დაბარებული და გასაკვირი ამაში არაფერია. ხელისუფლება პასუხისმგებლობას იღებს იმაზე, რომ პროცესი იქნება გამჭვირვალე, სამართლიანი და დარწმუნებული ვარ, არავის დამატებითი კითხვები არ გაუჩნდება“, – განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

დეპუტატის თქმით, ქართული სახელმწიფო შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ ქვეყნის მართლმსაჯულება დამოუკიდებელია და მის გადაწყვეტილებებში არავინ ერევა. ამ კონტექსტში სესიაშვილმა ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებული საქმე გაიხსენა და აღნიშნა, რომ ვანო მერაბიშვილის პროცესებთან დაკავშირებით თავდაპირველად გამოითქმოდა შეშფოთება შესაძლო პოლიტიკურ მოტივაციასთან დაკავშირებით, მაგრამ ჩატარებული სასამართლო პროცესების შემდეგ, არავის პრეტენზია აღარ გამოუთქვამს.

„ჩვენი დასავლელი პარტნიორების შეშფოთება უფრო პრევენციული ხასიათისაა, რათა დარწმუნდნენ, რომ ქვეყანაში პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალედ მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში საუბარია ყველაზე უფრო გახმაურებულ საქმეებზე, რაზეც ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი და საერთაშორისო ორგანიზაციები გამოძიებას ითხოვდა. ეს რომ გაკეთდეს და ობიექტური ინფორმაცია დაიდოს, ყოფილი პირველი პირისგან უნდა შევიტყოთ, რამდენად იყო ის ინფორმირებული ამა თუ იმ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით“, – აღნიშნა ირაკლი სესიაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ქართველი ფერმერები „კარფურისთვის“ სურსათის უწყვეტ რეჟიმში მიწოდებას ვერ ახერხებენ

„ჰიპერმარკეტების ქსელის „კარფურის“ ფინანსური მენეჯერი ჟან მარკ სტავრულაკისი, საქართველოს აგრარული სექტორის მთავარ პრობლემად მის სეზონურ ხასიათს მიიჩნევს. მისი განცხადებით, ქსელი, რომელიც სიდიდით მეორეა მსოფლიოში, საუკეთესო მომწოდებლად იმ ადგილობრივ ფერმერს აღიარებს, რომელიც ბიოპროდუქტს აწარმოებს, სწორედ ამ მიზნით „კარფურმა“ შემოსვლისთანავე ქართველ ფერმერებთან ინტენსიური თანამშრომლობა დაიწყო.

„ჩვენი ძირითადი მოთხოვნაა უცვლელი ხარისხის უზრუნველყოფით ორგანული სურსათის უწყვეტი მიწოდება. ერთი შეხედვით, სტაბილური მოთხოვნა მთელი წლის განმავლობაში ქართველ ფერმერებს დიდ შესაძლებლობებს აძლევდა; თუმცა, სტიმულირების მიუხედავად, მათ ვერ შეძლეს დადებული კონტრაქტების შესრულება. მარცხს კი განსხვავებული მიზეზები ჰქონდა, მაგალითად, პროდუქციის წარმოების პრობლემა არასეზონურ პერიოდში, სურსათის ხარისხის გაუარესება და ა.შ.“, – განაცხადა „კარფურის“ წარმომადგენელმა.

მისი თქმით, ადგილობრივი პროდუქციის სეზონური ხასიათი სუსტად განვითარებული სასათბურე მეურნეობების ბრალია. მნიშვნელოვანი საკითხებია ტრანსპორტისა და შეფუთვის ნაკლებობა, ასევე იურიდიული დოკუმენტების წარმოებაში ფერმერების დაბალი ცოდნა.

კარფურში აცხადებენ, რომ კარგა ხანია, ადგილობრივ პარტნიორებს შეფუთვისა და ფინანსური ანალიზის წარმართვის მიმართულებით კონსულტაციებს უწევენ. მათი აზრით, 2012 წლის შემდეგ პროგრესი ამ კუთხით თვალსაჩინო გახდა.

„თქვენ შეიძლება „კარფურში“ ბევრი ადგილობრივი პროდუქცია იხილოთ, თუმცა, ვითარება აგრარულ სექტორში იდეალურისგან კვლავ შორსაა. „კარფურის“ 2014 წლის სტრატეგიაა, გააღრმავოს ურთიერთობები ქართველ ფერმერებთან და შექმნას ეფექტური საწარმოო ჯაჭვი, რომელიც საშუალებას მისცემს, მომხმარებელს მაღალი ხარისხის ადგილობრივი პროდუქცია შედარებით დაბალ ფასში მიაწოდოს“, – აცხადებენ „კარფურში“, რომელიც ამ ეტაპზე ასამდე ადგილობრივ მომწოდებელთან თანამშრომლობს. კომპანია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ფილიალების გახსნასაც გეგმავს. (ინტერპრესნიუსი)

# რუსეთმა ყირიმში უკრაინული ჯარის 189 ობიექტი დაიკავა

რუსეთის ფედერაციის დროშები ყირიმში დისლოცირებული უკრაინის შეიარაღებული ძალების 189 დაწესებულებასა და სამხედრო ქვედანაყოფშია აღმართული. ამ გარნიზონებში საზეიმო ვითარებაში გაიმართა პირადი შემადგენლობის მოწყობა, რასაც თან ახლდა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დროშის აღმართვის ცერემონია და რუსეთის სახელმწიფო ჰიმნის შესრულება.

ერთ-ერთი ბოლო გარნიზონი, რომელიც რუსმა სამხედროებმა დაიკავეს ფეოდოსიაში, უკრაინის საზღვაო ქვეითთა ბაზაა. შტურმში რუსეთის სპეცდანიშნულების რაზმის 50 წევრი, 200 სამხედრო, ორი ვერტმფრენი და სამი ჯავშანტრანსპორტიორი მონაწილეობდა.

„უკრაინელი საზღვაო ქვეითები ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ. ჩვენი მონაცემებით, მსხვერპლი არ არის, არც დაჭრილები არიან. დილისთვის ტყვედ აყვანილი საზღვაო ქვეითები ბაზის ტერიტორიიდან ძალით გამოიყვანეს. ამ დროისთვის ბაზის თავზე რუსული დროშა ფრიალებს. ტერიტორია რუსების ალყაშია, ბაზის შესასვლელებთან კი ჯავშანტრანსპორტიორები დგანან“, – აცხადებს უკრაინის სამხედრო-პოლიტიკური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, დიმიტრი ტიმჩუკი.

მანამდე რუსმა სამხედროებმა შტურმით დაიკავეს უკრაინის სადესანტო ხომალდი „კონსტანტინ ოლშანსკი“. „ლიგა.ნეტ“-ის ინფორმაციით, მანამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, აღნიშნული ხომალდის ეკიპაჟი რუსეთის მხარეს გადავიდა, მაგრამ ხომალდი უკრაინას ეკუთვნის.

უკრაინის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ალექსანდრ ტურჩინოვის განცხადებით, უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭომ თავდაცვის სამინისტროს ყირიმიდან სამხედროების გაყვანა მოსთხოვა, რადგან იქ მათ საფრთხე ემუქრებათ.



ცნობილი გახდა, რომ ყირიმში არსებული უკრაინის სამხედრო ნაწილების პირადი შემადგენლობის 50 პროცენტი რუსების მხარეს გადავიდა. „უნიანის“ ინფორმაციით, ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარი სამეთაურო ცენტრის უფროსის მოადგილემ, ალექსანდრ როზმაზნინმა განაცხადა. მისივე თქმით, ყირიმიდან უკრაინელი სამხედროების მატერიკულ ნაწილში გამოსაყვანად უკრაინისა და რუსეთის თავდაცვის სამინისტროებს შორის მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს სატელეფონო კონსულტაციები, განიხილება რამდენიმე ვარიანტი, კერძოდ, იარაღითა და უიარაღოდ გამოსვლა შემდგომში დისლოკაციის ადგილის შესაცვლელად. როზმაზნინის განცხადებით, ყირიმში მყოფი სამხედროებისა და მათი ოჯახებისთვის განთავსების ადგილები მზადდება.

უკრაინის სამხედრო-პოლიტიკური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელის დიმიტრი ტიმჩუკის განცხადებით, რუსეთის ჯარმა ყირიმი უკრაინის ჯარისგან 25 მარტამდე უნდა გაათავისუფლოს.

„საინფორმაციო წინააღმდეგობის“ ჯგუფის ოპერატიული ცნობის თანახმად, ყირიმში დისლოცირებულმა რუსულმა საოკუპაციო ჯარმა, მოსკოვიდან ბრძანება მიიღო, რომლის თანახმად, ნახევარკუნძული უკრაინული ჯარისგან 25 მარტამდე უნდა განთავისუფლდეს“, - განაცხადა ტიმჩუკმა.

მისივე მტკიცებით, სიმფეროპოლში რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლების ჩართულობით სპეცდანაყოფები მზადდება. ღონისძიების მიზანი, უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში ვითარების დესტაბილიზაციაა. „სპეცჯგუფის ძირითად კონტინგენტს, ყირიმში მომუშავე უკრაინის მილიციის ყოფილი თანამშრომლები შეადგენენ, რომლებიც რუსეთის მხარეს გადავიდნენ“. – აცხადებს ტიმჩუკი.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის 24 მარტიდან სევასტოპოლსა და ყირიმში ხელფასები, პენსიები და გადასახადები რუსულ ვალუტაში ანაზღაურდება. ამასთანავე, 2016 წლის 1-ელ იანვრამდე ყირიმში დაშვებულია უკრაინული გრივნას მიმოქცევაც.

უკრაინული „უნიანის“ ინფორმაციით, 2016 წლის 1-ლი იანვრის შემდეგ რუსული რუბლი ყირიმის რეგიონში ერთადერთი კანონიერი ვალუტა გახდება.

რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებას ბრიუსელში ეხმაურებიან. „გაყინული კონფლიქტის“ ზონებს რუსეთი იმისთვის ქმნის, რომ ევროპის აღმოსავლეთით ესა თუ ის ქვეყანა დასავლეთს არ დაუახლოვდეს. – განაცხადა ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა, გენერალმა ფილიპ ბრიდლავმა. „ვფიქრობთ, რასაც ვხედავთ – ეს არის მექანიზმი, რომლის თანახმადაც, ნატოსა და ევროკავშირს არავინ მიუახლოვდეს, „გაყინული კონფლიქტები“ იქმნება“, – აღნიშნა სარდალმა. მისი განმარტებით, რუსეთი ასეთ მექანიზმს მაშინ იყენებს, როდესაც იწყებს შეშფოთებას იმის გამო, რომ რომელიღაც ქვეყანა დასავლეთისკენ მიიწევს.

მისი თქმით, ბოლო ქმედებების გამო ალიანსი რუსეთს პარტნიორად აღარ აღიქვამს. „ჩვენ უკვე ვიყავით იმ ეტაპზე, როდესაც რუსეთი ჩვენი პარტნიორი უნდა გამხდარიყო. ახლა კი, ცხადია, რომ რუსეთი იქცევა როგორც მოწინააღმდეგე, ვიდრე პარტნიორი“, – განაცხადა ნატოს სარდალმა.

ჰააგაში მყოფმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა კი განაცხადა: „რუსეთი „დიდი რვიანის“ ფორმატს არ ებღაუჭება, თუ ის დასავლეთს არ სჭირდება“. მისი თქმით, „დიდი რვიანი“ – ეს არის არაფორმალური კლუბი, საიდანაც არავის არავის გაგდება არ შეუძლია. თავისი არსებობის აზრს უპირველესად, იმიტომ ინარჩუნებდა, რომ დასავლეთის წამყვანი ქვეყნებისა და რუსეთის სასაუბრო ფორუმი იყო“, – აღნიშნა ლავროვმა. რუსი მინისტრის განცხადებით, საერთო ჯამში, რუსეთისთვის ამ საკითხების განხილვა სხვა ფორმატებშიც არის შესაძლებელი.

ამასობაში ცნობილი ხდება, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ბანკ „რასიაში“ ანგარიში გახსნა. პუტინის პრესმდივნის დიმიტრი პესკოვის განცხადებით, მომავალი თვიდან პირველი პირის ხელფასი სწორედ ამ ბანკში ჩაირიცხება. ვლადიმერ პუტინმა 21 მარტს განაცხადა, რომ ბანკ „რასიაში“ აპირებს ანგარიშის გახსნას, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მიერ რუსეთისთვის დაწესებულ სანქციათა ჩამონათვალში მოხვდა. მანვე ცენტრალურ ბანკს ბანკ „რასიას“ მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

გუშინვე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის ვებგვერდზე კანადის 13 მოქალაქის სახელი და გვარი გამოაქვეყნა, რომელთა წინააღმდეგ სანქციები დააწესა. ამგვარად, ეს რუსეთის საპასუხო ნაბიჯია კანადის მიერ რუსეთის მიმართ განხორციელებულ სანქციაზე, რომელიც ყირიმის მიერთებას უკავშირდება. ინფორმაციის თანახმად, რუსეთში შესვლა ეკრძალებათ: ქრისტიან ჰოგანს, რომელიც საგარეო და თავდაცვის საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველია, პრემიერ-მინისტრის აპარატის ხელმძღვანელ უეინ ვუტერსს, მის მოადგილე ჟან ფრანსუა ტრამბლის, პარლამენტის სენატის უცხოეთის საქმეთა და საერთაშორისო ვაჭრობის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დინ ელისონს და ა.შ. შეგახსენებთ, კანადამ, გარდა რუსი ჩინოვნიკების წინააღმდეგ სანქციების დაწესებისა, რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობა შეაჩერა.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შს სამინისტროში ანტინარკოტიკული-საინფორმაციო რგოლების პრეზენტაცია მოეწყო

შინაგან საქმეთა სამინისტროში ე.წ. ბიოს მოხმარების წინააღმდეგ საგანმანათლებლო კამპანიის ფარგლებში მომზადებული საინფორმაციო რგოლების პრეზენტაცია მოეწყო, რომელსაც შს მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ლევან ყიფიანი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური და ვიდეორგოლებში მონაწილე ექიმები დაესწრნენ.

ანტინარკოტიკული კამპანიის მიზანი ე.წ. ბიონარკოტიკის გამოყენების პრევენცია და მოსახლეობის ინფორმირებაა.

პრეზენტაცია შს სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის სამმართველოს უფროსმა და ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის ავტორმა სოფო კილაძემ გამართა.

შს მინისტრის, ალექსანდრე ჭიკაიძის განცხადებით, ცოტა ხნის წინ მოხდა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული კანონპროექტის ინიცირება, რამაც შედეგი გამოიღო.

„დღესდღეობით ამაყად შემიძლია ვთქვა, საქართველოში ძნელად მოიპოვება ეს ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოაქტიური ნივთიერებები“, – აღნიშნა ალექსანდრე ჭიკაიძემ.

მისივე თქმით, მათი მიზანი არ არის მხოლოდ ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლების დასჯა, არამედ მათი რეაბილიტაცია საზოგადოებაში.

„საზოგადოების დიდ ნაწილში ამ თემისადმი საკმაოდ სწორხაზოვანი დამოკიდებულებაა. გვიხსნიან, რომ ეს დაავადებაა და არა დანაშაული და კი არ უნდა დავსაჯოთ, არამედ უნდა ვუმკურნალოთ. დამერწმუნეთ, ეს კარგად გვესმის. აქ წარმოდგენილ პროექტს ჰქონდა მრავალგზიანი შესწავლა და სახელმწიფოს უკვე მზად აქვს ფართომასშტაბიანი სტრატეგია, რომელიც მოიცავს ამ ადამიანების რეინტეგრაციას საზოგადოებაში ზიანის, მოთხოვნის, მიწოდების შემცირებას და პირველ რიგში მათ მკურნალობასა და რეაბილიტაციას“, – აღნიშნა დავით სერგეენკომ და დასძინა, რომ „ეს არის სამთავრობო სტრატეგია, რომელიც ვერ იქნება ეფექტური საზოგადოების ფართო მასების ინფორმირებულობისა და მხარდაჭერის გარეშე“.

განათლების მინისტრის მოადგილის, ლია გიგაურის თქმით, ნარკოტიკების მოხმარების რისკი ყველაზე მაღალი მოზარდებშია. მისივე თქმით, პრევენციის მიზნით უკვე დაწყებულია სხვადასხვა პროექტების პილოტირება, რომელიც მიმდინარეობს როგორც სწავლებისა და ინფორმირების მიმართულებით, ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდის თვალსაზრისით.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის, ლევან ყიფიანის შეფასებით კი, მთელი საზოგადოება უნდა იყოს ჩართული ამ პროცესებში. მისივე თქმით, სპორტი არის ალტერნატივა, რომელიც ახალგაზრდა თაობას უნდა შევთავაზოთ.

ბიონარკოტიკების ზიანის შესახებ ისაუბრეს სპეციალისტებმა. მათი განცხადებით, მნიშვნელოვანია საკითხისადმი ერთობლივი მიდგომა და ის, რომ ბიოზე კომპლექსური შეტევა მიმდინარეობს.

სექსოლოგ ანდრო კანდელაკის თქმით კი, ბიონარკოტიკები უარყოფითად მოქმედებს მამაკაცის სექსუალურობაზე. ბოლო წლებში გახშირდა მამაკაცების მიმართვიანობა სექსუალური ჩივილებით, რომელთაც სამედიცინო ისტორიაში ბიონარკოტიკის მოხმარება აღენიშნებოდათ.

საინფორმაციო რგოლები, რომლის პრეზენტაცია დღეს შს სამინისტროში გაიმართა, ტელე და რადიო ეთერებში, კინოთეატრებსა და სოციალურ ქსელში განთავსდება.

ამასთანავე, დღესვე მოეწყო პრეზენტაცია შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ 112-ის მიერ მომზადებული საინფორმაციო რგოლის, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება იმ პირველადი სიმპტომების შესახებ შეიტყობს, რაც ე.წ. ბიოს მოხმარებას ახასიათებს.

ანტინარკოტიკული კამპანიის სლოგანია „ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება“. (ინტერპრესნიუსი)

## ფონიჭალის მოსახლეობას სასმელი წყლის პრობლემა აღარ შეაწუხებს

26 მარტიდან ფონიჭალის მოსახლეობის წყალმომარაგება გაცილებით სტაბილური გახდება. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ცნობით, 25 მარტს, კომპანიის ადმინისტრაციული დირექტორი ნიკოლოზ ბახტაძე, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი მუსხელიშვილს, რუსთავის გზატკეცილი №40-თან გამავალ მაგისტრალურ მილზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გააცნობს. სამუშაოების დასრულების შედეგად, ზემო და ქვემო ფონიჭალის მოსახლეობა სასმელ წყალს სულ სტაბილურ რეჟიმში მიიღებს.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ მაგისტრალის ხანდაზმული და ამორტიზებული მონაკვეთები უკვე მთლიანად ახლით შეცვალა. კომპანია, 25 მარტს, ობიექტის ექსპლუატაციაში გასაშვებად ბოლო ეტაპის სამუშაოებს განახორციელებს და ახალ მაგისტრალურ ქსელს არსებულ ქსელთან მიაერთებს. (ინტერპრესნიუსი)

# რისთვის დააკავეს „პატრიოტთა ალიანსის“ პოლიტიკური მდივანი?



24 მარტს თბილისში, კინოს სახლთან „ევრაზიული ინსტიტუტის“ მომხრეები და მოწინააღმდეგეები შეიკრიბნენ. „ევრაზიის ინსტიტუტის“ მხარდამჭერები გორიდან ავტობუსით ჩამოვიდნენ. ისინი კინოს სახლში იუგოსლავიის დაბომბვისა და შემდგომი პერიოდის ამსახველი ვითარების შესახებ 30-წუთიანი დოკუმენტური ფილმის ჩვენებას უნდა დასწრებოდნენ.

კავკასიოლოგ ალეკო კვახაძის განცხადებით, მან „კინოს სახლში შეკრებილი საქართველოს სახელმწიფოებრიობის მტრები ამხილა“. როგორც კვახაძე აცხადებს, მას „ჰქონდა ინფორმაცია, რომ „ევრაზიული კავშირის“ მომხრეთა მიერ რუსული პროპაგანდისტული ფილმის ჩვენება იგეგმებოდა და თავის თანამოაზრეებთან ერთად მათი მხილების მიზნით „სპეცოპერაცია“ დაგეგმა“.

„ჩვენ მიერ დაგეგმილი „სპეცოპერაცია“ მიზნად ისახავდა კინოს სახლში შეღწევასა და იქ შეკრებილი ქვეყნის მოღალატეების მხილებას. ვინაიდან მე საზოგადოებისთვის ცნობადი სახე არ ვარ, შეღწევა შევძელი, ფილმის ჩვენებისას კი ფეხზე წამოვდექი და ნდობაში შესვლის მიზნით პრორუსული სიტყვა წარმოვთქვი, ხოლო შემდეგ განვაცხადე, „მოდით, ფეხზე წამოვუდგეთ 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ რუს გმირებს-მეთქი და თქვენ წარმოიდგინეთ, დარბაზის ნახევარი ფეხზე წამოდგა. ამის შემდეგ მე მათ მივმართე, „ბატონებო და ქალბატონებო, თქვენ თავი ამხილეთ, რომ ხართ საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოღალატეები-მეთქი და პროტესტის ნიშნად დარბაზი დავტოვე. დარბაზის წევრები გაოგნებულები იყვნენ, თუმცა შემდეგ თავს დაესხნენ ერთ-ერთ აქტივისტს, მოგვიანებით კი სამართალდამცველებმა ფარნაოზ ჭკადუა დააკავეს. დარბაზში მყოფთაგან ერთი სასულიერო პირი იყო, ასევე ამოვიცანი გუბაზ რცხილაძე, ე.წ. პოლიტპატიმარი შოთა აფხაიძე, ირაკლი ყიფიანი და მოგვიანებით შევნიშნე ირმა ინაშვილიც. დანარჩენები ვერ ამოვიცანი. ეს ხალხი საზღვრისპირა მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე პროვოკაციულად აპელირებს, შეცდომაში შეჰყავთ, რომ ევრაზიულ კავშირში შესვლის შემდეგ მათი პროდუქცია გაიყიდება რუსეთში და აქ ჩამოჰყავთ“. – განაცხადა კვახაძემ.

მისივე თქმით, ევრაზიული კავშირის მომხრეები საზღვრისპირა სოფლებში ხშირად ეწევიან პროპაგანდას და ამისთვის რამდენჯერმე საჯარო სკოლების შენობებშიც ჩაატარეს შეხვედრა, რასაც ადგილობრივი ხელისუფლება ხელს არ უშლის.

მოგვიანებით კინოს სახლთან, „ევრაზიული ინსტიტუტის“ მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა. „ევრაზიული ინსტიტუტის“ მოწინააღმდეგეებმა გაღიზიანება მას შემდეგ გამოხატეს, რაც ნატო-ს საწინააღმდეგო და რუსეთის მხარდასაჭერი განცხადებები მოისმინეს. სწორედ ამ განცხადებებს მოჰყვა პროტესტი და სიტყვიერი დაპირისპირება. ვითარება მალევე განიმუხტა, რადგან მათ შორის საპატრულო პოლიცია ჩადგა. თუმცა ცოტა ხანში სიტუაცია კიდევ ერთხელ დაიძაბა, რასაც წინ უძღოდა „ევრაზიული ინსტიტუტის“ ერთ-ერთი მოწინააღმდეგის განცხადება, რომ აღნიშნული ინსტიტუტის მხარდამჭერებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ამის შემდეგ „ევრაზიული ინსტიტუტის“ მომხრეები და მოწინააღმდეგეები ჯერ ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ, შემდეგ კი ერთმანეთის მისამართით სხვადასხვა საგნების სროლა დაიწყეს. სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ჟურნალისტ ირმა ინაშვილსაც. ჟურნალისტის თქმით, მიზეზი მისთვის გაუგებარია.



ფიზიკური დაპირისპირების გამო სამართალდამცველებმა სამი პირი დააკავეს. სამივე პირი დაკავებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის დარღვევისთვის, რაც წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს.

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის, სოსო მანჯავიძის განცხადებით, დაკავებულთა შორისაა „პატრიოტთა ალიანსის“ პოლიტიკური მდივანი გიორგი ლომია. „კინოს სახლთან „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები „ევრაზიული კავშირის“ ღონისძიების გასაპროტესტებლად შეიკრიბნენ, თუმცა ირმა ინაშვილი რომ დაინახეს, რომელიც სამსახურში სწორედ ამ დროს მოვიდა, გადაავიწყდათ, რისთვის იყვნენ იქ და ახლა ირმას დაუწყეს ყვირილი, მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, რასაც ბუნებრივია, ჩვენ არ მოვითმენდით. მოხდა შეტაკება და ერთ-ერთი მათი ზედმეტად აქტიური წევრი, რომელიც იგინებოდა და პოლიციის კორიდორიც კი გაარღვია, იქ მყოფებმა სცემეს. დაპირისპირების შემდეგ დააკავეს ჩვენი პოლიტიკური მდივანი, გიორგი ლომია და დაცვის წევრიც“, – ამბობს მანჯავიძე.

მსგავსი აქცია გაიმართა გუშინ ბათუმშიც, რომელიც ასევე დაპირისპირებით დასრულდა. სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც აქციაზე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები, მათ შორის ბათუმის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ნოდარ დუმბაძე მივიდა. ისინი სკანდირებდნენ „არა პუტინს“, „მოღალატეებო“, „რუსეთის მონებო“, რამაც აქციის ორგანიზატორების გაღიზიანება გამოიწვია. ნატო-ს მოწინააღმდეგეები და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ერთმანეთს ჯერ სიტყვიერად, შემდეგ კი ფიზიკურად დაუპირისპირდნენ.

სიტუაციის განსამუხტად ადგილზე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი მივიდა. დაპირისპირების შედეგად დაკავებულები არ არიან.

## სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

იუსტიციის მინისტრმა, თ ე ა წულუკიანმა, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელის პოსტზე იოსებ ბაღათურია წარადგინა. მან აღნიშნულ თანამდებობაზე ლევან სამადაშვილი შეცვალა. ბაღათურია ბოლოს მოსამართლედ მუშაობდა და მისი განცხადება გადადგომის შესახებ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უკვე დააკმაყოფილა.

იოსებ ბაღათურია პროფესიით იურისტია. მან 1993 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მუშაობდა პროკურატურის სისტემაში, ხოლო 2008 წლიდან მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების შემდეგ იყო ზუგდიდის, გარდაბნის, თეთრი წყაროს, საგარეჯოს რაიონული სასამართლოების მოსამართლე. ბოლოს კი ის მოსამართლის საქმიანობას რუსთავის საქალაქო სასამართლოში ეწეოდა.

როგორც იოსებ ბაღათურიამ განაცხადა, მისთვის მართლმსაჯულების სისტემა აღარ იყო საინტერესო. მისივე თქმით, ის დღეს ახალ სისტემაში იწყებს მუშაობას და ყველაფერს გააკეთებს აღნიშნული სფეროს კიდევ უფრო განვითარებისთვის. (ინტერპრესნიუსი)

## თაღლითობის ფაქტზე ადვოკატი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა თაღლითობის ფაქტზე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, მალხაზ შვიდბიჭაშვილი დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მალხაზ შვიდბიჭაშვილი მოქალაქე გივი ო-ს აუქციონის შედეგების გაუქმებასა და მიწის ნაკვეთის დაბრუნებაში დახმარებას დაჰპირდა, რასაც ის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მაღალჩინოსნებისთვის 50000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ მოახერხებდა.

მალხაზ შვიდბიჭაშვილმა მოტყუებით, თაღლითურად, თითქოსდა სასამართლო

ინსტანციებში პროცესების მოგების სანაცვლოდ, გივი ო-ს 2012 წლის სექტემბერში – 25000 აშშ დოლარი, ხოლო 2013 წლის თებერვალში 15000 აშშ დოლარი გამოართვა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა.

გამოძიება დიდი ოდენობით თაღლითობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარების გამო შეწუხებულია

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას ეხმაურება.

„არავინ არის კანონზე მაღლა, მაგრამ ყოფილი პრეზიდენტის გარშემო ერთდროულად მრავალი გამოძიების დაწყება წარმოშობს ლეგიტიმურ წუხილს პოლიტიკურ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც საკანონმდებლო და მართლმსაჯულების ინსტიტუტები ჯერ ისევ სუსტია“, – ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამასთანავე, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ თებერვალში, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ვაშინგტონში სტუმრობისას უმაღლეს დონეზე იქნა განხილული, რომ აშშ მოუწოდებს საქართველოს ლიდერებს, ქვეყნის ენერგია მიმართონ მომავალზე, ძლიერ ეკონომიკაზე, რეფორმების გაგრძელებაზე მართლმსაჯულების სფეროში და სწრაფ პროგრესზე ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით. (ინტერპრესნიუსი)

## ზუგდიდში დევნილთა ოჯახებს ბინები გადაეცათ

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა, დავით დარახველიძემ ზუგდიდში 74 დევნილ ოჯახს ახალი ბინების გასაღებები გადასცა. ღონისძიებას სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი, ლევან შონიაც ესწრებოდა.

ზუგდიდის ბერანძის ქ. №10-ში მდებარე ყოფილი სააფთიაქო სამმართველოს შენობას დევნილთა სამინისტრომ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარა და საცხოვრებელ ფართად გადააკეთა. აღნიშნულ ობიექტზე ბინა 2008 წლის აგვისტოს ომში საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულ ბადრი ბერანძის მშობლებს გადაეცათ. პირველი გასაღებები სწორედ მათ გადასცეს. ქუჩას, რომელზეც რეაბილიტირებული კორპუსია განთავსებული, სწორედ ბადრი ბერანძის სახელი ეწოდა.

აღნიშნულ შენობაში საცხოვრებელი ფართის მისაღებად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოში სულ 600 განაცხადი დაფიქსირდა. (ინტერპრესნიუსი)

## პრემიერისთვის ყოფილი პრეზიდენტის დაკითხვაზე ჰააგაში არაფერი უკითხავთ



პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მიხეილ სააკაშვილის პროკურატურაში დაბარებასთან დაკავშირებით აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებას ჰააგიდან გამოეხმაურა.

„ეს არის მეგობარი სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული რჩევა, რეკომენდაცია, რომ ეს პროცესი იყოს წარმართული გამჭვირვალედ. აქ ვარ უკვე მეორე დღეა და ამის თაობაზე საუბარი საერთოდ არ გვქონია არავისთან. არავის წამოუწევია ეს საკითხი და არ მესმის, საიდან მომდინარეობს ეს ისტერიკა. ეს ჩვეულებრივი დემოკრატიული პროცესია, მსგავსი რამ ხდება ევროპის შუაგულში. საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტებთან იყო შეკითხვები, ვგულისხმობ სარკოზის, ასევე, ჟაკ შირაკს, ასევე, იტალიის პრემიერ-მინისტრ ბერლუსკონის 7 წელი მიესაჯა. ასე რომ, ეს არის ნორმალური პროცესი, მით უმეტეს, პროკურატურას საუბარი აქვს ძალიან მძიმე დანაშაულებზე და ვფიქრობ, არ მიგვიცია და არ შეგვიქმნია არანაირი ეჭვის საფუძველი. პირიქით, ვადასტურებთ, რომ ამ პროცესს წარვმართავთ გამჭვირვალედ და კანონის უზენაესობა არის მნიშვნელოვანი. თუ ვინმე ცდილობს, წარმოაჩინოს, რომ საქართველო იყოს უფრო დემოკრატიული ქვეყანა, ვიდრე საფრანგეთი ან იტალია, ეს, მგონი, მცდარი შეფასებაა. არავინ უნდა მოგვთხოვოს, ჩვენ ვიყოთ უფრო მეტი კათოლიკე, ვიდრე რომის პაპია“, – განაცხადა ღარიბაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge








1. მწერალი კონსტანტინე ...
2. ... შვარცენეგერი
3. გაერთიანება, კავშირი
4. მხ/ფ „... ჩამოვიდნენ მთიდან“
5. ბიზეს ოპერა
6. ... გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია
7. ტროა, ანუ ...
8. ერთი ერის ხალხის ნაწილის ყოფნა თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ
9. იუპიტერის თანამგზავრი
10. დაკეცილი ფიგურების ხელოვნება იაპონიაში
11. სიჩქარის საზომი ხელსაწყო
12. ჩაის ბუჩქის ყლორტი
13. ზარმაცი, მუქთახორა
14. ბერძ. ანბანის ბოლო ასო
15. დიდი საჯარისო შენაერთი
16. ვერცხლისწყალი, ანუ ...
17. მსახიობი ... ჰოფმანი
18. სასრუმროს ოთახი
19. ამფიბია
20. ეს ხე რკოს ისხამს
21. თბილი ქვეყნების ხე
22. სოკოს მიკროსკოპული ჩანასახი
23. რაიონი აჭარაში
24. ამერიკული კეტბურთი
25. ღვინის დეგუსტატორი
26. „მეფე ერეკლე და ... ქალი“
27. ფერმწერი, ანუ ...
28. უკრაინული ავტომობილი
29. ტყის ჩლიქოსანი ცხოველი
30. უძველესი აკადემია კახეთში
31. ამით იზომება დრო
32. მსახიობი სპარტაკ ...
33. თამაში: ... სული გსურს
34. სამსახურებრივი წინსვლა
35. მცირე არია
36. ქალაქი იტალიაში
37. კაზინო, ანუ ...
38. მოცარტის მოქიშპე კომპოზიტორი
39. მუსლიმანებში: ... და სუნიტი
40. ვაჟიშვილი
41. მუსიკოსი ... ჰენდრიქსი
42. მსახიობი ერიკ ...
43. სერიალი „... ქალაქში“
44. აკრობატული ილეთი
45. აბუ ალი ... სინა (ავიცენა)
46. სკანდინაველთა ღმერთი
47. მდინარის თევზი
48. შენობის წინხედი
49. რეჟისორი ფრანკო ...
50. რას ხდიან მზესუმზირისგან
51. გამოკლების ნიშანი
52. ისლანდიის დედაქალაქი
53. ინგლისური რევოლუც. ბელადი (17ს.)
54. მსახიობი ... ბესინჯერი
55. ... ულენშპიგელი
56. ამით თამაშობენ ჩოგბურთს
57. მყესი, გამოსცემს ხმას
58. მომღერალი ... დიონი
59. პოეტი ევდომველი (სახელი)
60. ბოსტნეული
61. „ბითლზი“ ჯონ ...
62. მხ/ფ „სამი ... კონკიასათვის“
63. მსახიობი ... კეიტელი
64. უახლოესი ვარსკვლავი
65. ომის ღმერთი ბერძ. მითში
66. ოქროს ძაფი
67. უმაღლესი სპორტ. მიღწევა
68. სტადიონი რიომში
69. ზღვისპირა კურორტი ზუგდიდ. რაიონში
70. ბარაქა
71. ავთვისებიანი ხალი
72. თხრობითი ნაწარმოებები
73. სოფი ლორენის გვარი
74. ... ურჩევნია შამფულსა
75. ზანდუკი
76. გიტარის მავთული
77. მისი დედაქალაქია ლონდონი
78. მსახიობი ... თბილელი
79. პოლიგლოტი ... ჩარკვიანი
80. მომღერალი ზურაბ ...
81. ქალაქი საფრანგეთში
82. ოცკაპიკიანი ძველად
83. ჯეკ ლონდონი. „მარტინ ...“
84. იგავური თხრობის სტილი
85. ამ ენაზე მეტყველებდა ქრისტე
86. ატმოსფერული მდგომარეობა
87. კომპოზიტორი ნინო ...
88. დაუდეგელი ლვინო
89. დონ ... ლამანჩელი
90. მსახიობი ... ფარულავა
91. მღრღნელი სარდაფში გრძელი კუდით
92. მესია ... ქრისტე
93. „მორცხვი“ ყვავილი
94. ბურთის ფორმის საგანი
95. ცეცხლგამძლე კარადა
96. ნაჭრის გასაშლელი ოთახი
97. ქსოვილი. იხურავენ ჩიხტიკოპთან
98. შესახედაობა
99. მუსლიმანური რელიგია
100. კომპოზიტორი ... პაულსი
101. იტალიელი კომპოზიტორი
102. ნახ. კუნძული შავ ზღვაში
103. მზესუმზირის ტკბილეული
104. ხეფოთოლს აბრეშუმ. ჭიას აჭმევენ
105. „ბიძია თომას ...“
106. ცხოველ. ნადირობდნენ ინდიელები
107. მომღერალი ... პიეხა
108. ნასესხები ფული
109. ქალაქი ქვემო ქართლში
110. მწერალი ... ქიაჩელი
111. თავად. აზნაურ. ტიტული ინგლისში
112. ღვინის პოეტური სახელწოდება
113. ვედრო, ანუ ...
114. აზრი, შინაარსი
115. მევიოლინე ... ისაკაძე
116. მუქი, ერთფერი ქსოვილი
117. ტირიფის ეპითეტი
118. ნაგებობა მდინა-რეზე
119. „პროფილი“ ... ასათიანი
120. მოთიბული გამხმარი ბალახი
121. მტაცებელი სავანაში
122. ღორის ცხვირი
123. კატის ნაშიერი
124. მომღერალი ... ჩარლზი
125. ვარამი, სევდა
126. მხედველობის ორგანო
127. ... ლოიდ ვებერი
128. ცურვის სტილი
129. ... მთავარანგელოზი
130. მთათა სისტემა ევროპაში
131. ქალაქი გერმანიაში
132. ...-ვეგასი
133. სანთლის მასალა
134. მრავალძირა ქვაბი
135. მსახიობი გრეტა ...
136. მზის ღმერთი ეგვიპტეში
137. მსახიობი ... გარდნერი
138. დაბა ...-გრუზინსკაია
139. მსახიობი ... დიტრიხი
140. ჯამის ფორმის სასმისი
141. 3,14
142. ... ჰეჩი
143. მსახიობი ... სტრიპი
144. მსახიობი ... ელიავა
145. იაპონური მდოგვი
146. ... ფერსა, მადლი ღმერთსა
147. ...-ჭამა დიდად შესარგი
148. ცხენბურთი
149. ტაბლეტი
150. საოპერო პარტია

# სკანვორდი

ავტორი ლალი ზანდუკელი 2 23-11-28



1. განუწყვეტლივ მოძრავი კიბე
2. ამერიკული საავტომობილო კომპანია
3. მიმდინარეობა ფილოსოფიაში
4. მსხვილი ნაწლავის ანთება
5. გამოჩენილი ავსტრიელი ავტომრბოლ.
6. წიწვოვანი ხე
7. „სამი მეგობრის“ ავტორი
8. ძვირფ. ქვა ჩაღრმავებულად ამოკვეთილი გამოსახულ.
9. ლურჯი მინერალური საღებავი
10. დედამიწის ზედაპირის ბრტყელი ნახაზი
11. (ძვ.) ათკაპიკიანი მონეტა
12. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
13. მონღოლი დიდებული
14. თვითნება მმართველი
15. ამერიკული როკ-ჯგუფი
16. იაპონური დეკორატ. ხელოვნება
17. მომღერალი ... ჯოხაძე
18. სასჯელის შემსუბუქება
19. გრაფ მონტე-კრისტოს გვარი
20. იგივეა, რაც კვიპაროსი
21. ბელორუსიის დედაქალაქი
22. სამი მუსიკოსის ანსამბლი
23. უეცარი შიშით გამოწვეული მღელვარება
24. პარკოსანი მცენარე
25. მსუბუქი თვლემა
26. მინიატურული ლეოპარდი
27. სამკითხაო ბანქო
28. მზის საგალობელი რაჭაში
29. უძველესი ქალაქი ირანში
30. ქიმიური ელემენტი
31. დიდი ნახატი კედელზე
32. შოკოლადის ხე
33. ძვ. ორანძიანი ხომალდი
34. სოფიკო ჭიაურელის კინოროლი
35. მონარქიული ქვეყნების კავშირი
36. ნიადაგ. ზედაპირის დაფარვა სხვადასხვა მასალით
37. მსახიობი ... ჰენქსი
38. ფრიქსესა და ჰელეს ბებია
39. ღვინის ძველებური საწყაო
40. ინდიელთა ტომი
41. როკ-ჯგუფი „... ცეპელინი“
42. პატარა ხევი
43. კუნძ. პარიზში
44. ნიღბებ. თეატრის პერსონაჟი
45. ბურთის გასვლა მოედნიდან
46. ქართული ხალხური საკრავი
47. ძველბერძენი მოქანდაკე
48. მღვიმეების შემსწავლ. მეცნიერება
49. ცეცხლგამძლე აგური
50. ინფექც. დაავადება
51. მგალობელი ფრინველი
52. ელექტრული განმუხტვა ატმოსფეროში
53. აპინას სახელი
54. აშშ-ის შტატი
55. თავაზიანი მიმართვის ფორმა იაპონიაში
56. ნორვეგიელი კომპოზიტორი
57. გაბანას მეწყვილე
58. კეროლის ზღაპრის პერსონაჟი
59. ბალახოვანი პარაზიტი მცენარე
60. თვალის თანდაყოლილი უქონლობა
61. პროფესიონალი მოცეკვავე ან მომღერალი ქალი იაპონიის საჩაიეებში
62. მუსიკალური გამის III ნოტი
63. ქვის ფილა რელიეფური გამოსახულებით
64. დათა თუთაშხიას და
65. მშვენიერი ელენეს მომტაცებელი
66. სატრფიალო კომედიის მუზა
67. დიდნისკარტა ტროპიკული ფრინველი
68. იგივეა, რაც შრე
69. თიკნის სპეციალურად გამოყვანილი ტყავი
70. გამოშვებული საქონლის ტიპი
71. ერთმანეთის მიყოლებით განლაგებული ოთახები
72. მოხუცებულთა ფულადი დახმარება
73. სახურავი მასალა, ნაცრისფერი ფიქალი
74. ფრანგული ავტომარკა
75. ნაღვლიანი ლექსი
76. ალ. მაკედონელის მამა
77. აშშ-ის ქალაქი ...-პლესიდი
78. კარგად მორბენალი ცხენი
79. ვალტერ სკოტის ისტორიული რომანი
80. ბიბლიური პატრიარქი
81. ბუქარესტის საფეხბ. კლუბი
82. თოვლის ჯიქი
83. მარადონას სახელი
84. მიმართვა სკანდინავ. ქალბატონისადმი
85. საქართველოს ვალუტა
86. გარდაცვლილის სულის გადასახლება სხვა სხეულში
87. ბაშკირეთის დედაქალაქი
88. აშშ-ის კოსმოსური სააგენტო
89. ხისძირიანი ფეხსაცმელი
90. მსუბუქი კომედია სიმღერებით
91. „თავისუფალი“ ლექსი
92. ერთეულოვანი ვექტორი
93. ქრისტიანობისთვის წამებული არაბი
94. ჩვილი ბავშვის პირველი „სიტყვა“
95. მსახიობი ... კილმერი
96. ბულგრელი ნათელმხილველი
97. სუსტი ქარი, ნიავი
98. ვარსკვლავური მანძილების საზომი ერთეული
99. მდ. ვოლგის ძველი სახელწოდ.
100. ... ემხვარი „მთვარის მოტაცებაში“
101. ევროკავშირის ვალუტა
102. ნახევრად ძვირფასი ქვა
103. კეთილი სული ევროპულ მითოლოგ.
104. ყალმუხეთის დედაქალაქი
105. მსახიობი ... ფარელი
106. სამი მუშკეტერის მეგობარი
107. მდ. პერუში, ამაზონის შენაკადი
108. გენიალური ესპანელი არქიტექტორი
109. წყვილთა საბალო ცეკვა
110. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
111. ვაჟა-ფშაველას ასულის სახელი
112. ხარებას ძმაკაცი
113. მსახიობი რასელ ...
114. ესკიმოსთა ყინულის ქოხი
115. ტვირთმზიდავი ხარი
116. მუს. ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი
117. დიდი ხმაურის გამომწვევი შემთხვევა
118. ანტილოპას სახეობა
119. რემბრანდტის პირველი მეუღლე
120. ოსკარი-2014-ის მფლობელი რეჟისორი
121. სტრიტის გადამკვეთი ქუჩა ნიუ-იორკში
122. პარტია ჩოგბურთის თამაშში
123. მეღვინეობის ქართული წარმართული ღვთაება
124. ცხენების ჯოგი
125. აშშ-ის მკვიდრთა მეტსახელი, რომელიც მათ ევროპელებმა შეარქვეს
126. სამსონის მოღალატე სატრფო
127. უკრაინული ოპოზიციის მოკრივე ლიდერი
128. სარძევე ჯირკვლის მოკვეთა
129. ჭაობის მცენარე
130. ცხოველთა თავდაცვითი შეგუების ფორმა
131. ჩინური ტანვარჯიში
132. ხის საპობი იარაღი
133. მწერალი ... შენგელაია
134. მრეცხავი „ვერის უბნის მელოდიებში“
135. სამხედრო გემების დიდი შენაერთი
136. მობილური კავშირის კომპანია
137. სპორტ. შეჯიბრების დაწყების მომენტი
138. ლიტერატურის ჟანრი
139. ქიმიური ელემენტი, მეტალი
140. ესპ. ნაკრების მეკარე პეპე ...
141. მოცულობის ტრადიციული ერთეული იაპონიაში
142. იტალიელი კინომსახიობი
143. ქალაქი ესპანეთში
144. პერუს დედაქალაქი
145. საუდის არაბეთის დედაქალ. ...-რიადი
146. დიდი და ღრმა ბზარი
147. მარცვლოვანი მცენარე
148. ჩინელი გიგანტი კალათბურთელი ... მინი
149. მაყურებელთა მოსაცდელი დარბაზი თეატრში
150. უბნის მილიციელი „რეკორდში“
151. (ძვ.) ჯარი, ლაშქარი
152. ვიეტნამის დედაქალაქი
153. საბანკო შეტყობინება
154. რეგის „მამა“ ... მარლი
155. ქართ. ფილმი „უძინართა ...“
156. მსუბუქი ტრფიალი, არშიყობა
157. ჯიბის ერთ ადგილზე გაჩერებული მოწყობილობა
158. დიდი საჯარისო შენაერთი
159. ქალაქი ჰოლანდიაში

პასუხი: 1. ესკალატორი; 2. კრაისლერი; 3. ეგზისტენციალიზმი; 4. კოლიტი; 5. ლაუდა; 6. ტუია; 7. რემარკი; 8. ინტალიო; 9. ლილა; 10. რუკა; 11. უზალთუნი; 12. ერი; 13. ნოინი; 14. დესპოტი; 15. „მეტალიკა“; 16. იკებანა; 17. ანრი; 18. ამნისტია; 19. დანტესი; 20. სარო; 21. მინსკი; 22. ტრიო; 23. პანიკა; 24. ოსპი; 25. რული; 26. ოცელოტი; 27. ტარო; 28. რაეო; 29. რეი; 30. იტრიუმი; 31. პანო; 32. კაკაო; 33. ბრიგი; 34. ციცინო; 35. უნია; 36. მულჩირება; 37. ტომ; 38. ენარეტე; 39. ჩაფი; 40. მაია; 41. ლედ; 42. ღელე; 43. სიტე; 44. არლეკინი; 45. აუტი; 46. ჩონგური; 47. ფიდიასი; 48. სპელეოლოგია; 49. დინასი; 50. გრიპი; 51. მოლაღური; 52. ელვა; 53. ალიონა; 54. იუტა; 55. სან; 56. გრიგი; 57. დოლჩე; 58. ალისა; 59. პირიმზე; 60. აფაკია; 61. გეიშა; 62. მი; 63. სტელა; 64. ელე; 65. პარისი; 66. ერატო; 67. მარაბუ; 68. ფენა; 69. შევრო; 70. არტიკული; 71. ანფილადა; 72. პენსია; 73. შიფერი; 74. „რენო“; 75. ელეგია; 76. ფილიპე; 77. ლეიკ; 78. ბედაური; 79. „უევერლი“; 80. ნოე; 81. „სტიაუა“; 82. ირბისი; 83. დიეგო; 84. ფრუ; 85. ლარი; 86. რეინკარნაცია; 87. უფა; 88. ნასა; 89. საბო; 90. ვოდევილი; 91. ვერლიბრი; 92. ორთი; 93. აბო; 94. აღუ; 95. ველ; 96. ვანგა; 97. სიო; 98. პარსეკი; 99. იტილი; 100. თარაშ; 101. ევრო; 102. იასპი; 103. ელფი; 104. ელისტა; 105. კოლინ; 106. დარტანიანი; 107. უკაიალი; 108. გაუდი; 109. ვალსი; 110. ასი; 111. გულქანი; 112. გოგია; 113. კროუ; 114. იგლუ; 115. აზავერი; 116. კოდა; 117. სენსაცია; 118. კანა; 119. სასკია; 120. კუარონი; 121. ავენიუ; 122. სეტი; 123. აგუნა; 124. რემა; 125. იანკი; 126. დალილა; 127. კლიჩკო; 128. მასტექტომია; 129. ისლი; 130. მიმიკრია; 131. უშუ; 132. ცული; 133. დემნა; 134. ვარდო; 135. არმადა; 136. ბილაინი; 137. სტარტი; 138. კრიტიკა; 139. ნიკელი; 140. რეინა; 141. ტო; 142. ნერო; 143. ოვიედო; 144. ლიმა; 145. ერ; 146. ნაპრალი; 147. სიმინდი; 148. იაო; 149. ფოიე; 150. ლინტუ; 151. სპა; 152. ჰანოი; 153. ავიზო; 154. ბობ; 155. მზე; 156. ფლირტი; 157. ლუზა; 158. პოლკი; 159. ჰააგა. გამუქებულ უჯრებში იკითხება: ჩონგური.

## ყველა საჭირო პროდუქტი... ორგაზმისთვის



იმისთვის, რათა ორგაზმს უფრო ადვილად მიაღწიონ, ამერიკელი მეცნიერები წყვილებს ურჩევენ, რაციონში სისტემატურად გამოიყენონ 6 პროდუქტი: შვრიის პური, შოკოლადი, ზღვის პროდუქტები, კვერცხი, თაფლი, მცენარეული ზეთი.

ახლა ვნახოთ, რომელი პროდუქტი როგორ გავლენას ახდენს ადამიანზე:

– შვრიის პური სისხლში ტესტოსტერონის დონეს ამაღლებს.

– შოკოლადის შემადგენლობაში შედის ისეთი ნივთიერებები, რომლებსაც ნერვული იმპულსების სტიმულირების თვისებები აქვთ, რაც, თავის მხრივ, სიამოვნების შეგრძნებებს ზრდის.

– ზღვის პროდუქტები მინერალების საბადოა, რომლებიც თავიანთი შემადგენლობით სქესობრივ ჰორმონებს ჰგვანან.

– კვერცხის შემადგენლობაში ვხვდებით ბე ჯგუფის ვიტამინებს, რომელთაც აუცილებელი ჰორმონალური დონის დაბალანსება შეუძლიათ.

– თაფლიც, შვრიის პურის მსგავსად, სისხლში ტესტოსტერონის გამომუშავებას უწყობს ხელს.

– ზეთები, მათ შორის მცენარეულიც, ორგანიზმს ქოლესტერინის ზომიერი დოზებით ამარაგებს, რომელიც ჰორმონების გამომუშავებისთვისაა აუცილებელი.

*woman.ru*

## პროდუქტის ვარგისიანობას სპეციალური ტესტი დაადგენს



თუკი ბევრი ადამიანი ბაზარში დღემდე დადის საკუთარი სასწორით, რათა გამყიდველმა არ მოატყუოს, შესაძლოა, მომავალში საყიდლებზე წასულმა ხალხმა სპეციალური ტესტიც გაიყოლოს, რომელიც პროდუქტის ვარგისიანობას განსაკუთრებული სირთულეების გარეშე ადგენს.

სიახლის ავტორები გერმანელი მეცნიერები არიან ფრაუნჰოფერის ინსტიტუტიდან, რომლების მიერ შექმნილი მოწყობილობა მართალია, მოვაჭრეების ჯიბეს შეათხელებს, მაგრამ სამაგიეროდ, ხალხს მოწამვლისგან გადაარჩენს.

საუბარია, ერთი შეხედვით, ძალიან მარტივ ლენტ-ტესტერზე, რომელიც პროდუქტის ვარგისიანობას სულ რამდენიმე წამში ადგენს. კერძოდ, საკმარისია, მაგალითად, მას თევზი შეახოთ, რომ წამსვე მიგახვედრებთ, ღირს თუ არა პროდუქტის მიღება – ტესტერი ფერს შეიცვლის.

ტესტერი ბიოგენურ ამინებზე რეაგირებს, რომლებიც პროდუქტის ხრწნის შედეგად გამოიყოფა. თუკი ლენტი საფრთხეს აღმოაჩენს, მისი საწყისი ყვითელი ფერი ცისფრად იცვლება.

*obozrevatel.com*

## „დაყენებული“ ღიმილი ფსიქიკის დაუძინებელი მტერია?



ვინც ფიქრობს, რომ მომსახურების სფეროში სერიოზულად მოვიკოჭლებთ და არ შეიძლება, მომხმარებელს შუბლშეჭმუხნული გამყიდველი, ოფიციანტი ან, გნებავთ, ბენზინის ჩამსხმელი ემსახურებოდეს, აბსოლუტურად ვეთანხმებით. როგორც ამბობენ, ამ მხრივ, ძალიან ბევრი ქვეყანა გამორჩეულია და მომსახურების სფერო უმაღლეს დონეზე აქვს აყვანილი. ყოველ შემთხვევაში, მომსახურე პერსონალს თავაზიანი ღიმილი მაინც აქვს სახეზე და წაქცეული ბულასავით სულაც არ იბღვირება. მაგრამ რის ფასად? საკითხავი აი, ეს არის!

ფსიქოლოგებს თუ დავუჯერებთ, „დაყენებული“ ღიმილის სანაცვლოდ გამყიდველებს, სასტუმროების ადმინისტრატორებს ან, გნებავთ, ბენზინის გამყიდველებს, ძალიან დიდი საფასურის გადახდა უწევთ.

– უმიზეზოდ, არაგულღიად გაღიმება ფსიქიკის დაუძინებელი მტერია და მას უდიდეს ზიანს აყენებს, – ამტკიცებენ სპეციალისტები.

გერმანელი ფსიქოლოგების აზრით, ასეთი ყალბი ღიმილი სტრესსა და დეპრესიასაც კი იწვევს. მიზეზი ის ყოფილა, რომ ადამიანი მუდმივად გამოხატავს ემოციებს, რომლებსაც სინამდვილეში არ განიცდის.

– ეს ორგანიზმისთვის ნამდვილი წამებაა და ჯანმრთელობაზე, ადრე თუ გვიან, აუცილებლად აისახება, – განმარტავენ მოსაზრების ავტორები.

ადამიანებს, რომლებსაც დღეების მანძილზე დადებითი განწყობის იძულებითი დემონსტრირება უხდებათ, ფსიქოლოგები ურჩევენ, რაც შეიძლება, დიდხანს დაისვენონ და გამოიყენონ მოდუნების სხვადასხვა ხერხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთარ ჯანმრთელობას უდიდეს ზიანს მიაყენებენ.

*myjane.ru*

## ორგანიზმის 10 სიგნალი, რომლებიც უყურადღებოდ არ უნდა დატოვოთ



იგნორირებაზე არც კი იფიქროთ და იცოდეთ, რომ ეს ის 10 ნიშანია, რომლებითაც თქვენი ორგანიზმი პრობლემების შესახებ გამცნობთ:

1. წონის უმიზეზოდ კლება – თუკი შეამჩნევთ, რომ წონას თქვენი მცდელობის გარეშე კარგავთ, აუცილებლად მიმართეთ ექიმს. წონის უმიზეზოდ კლების ნიშნებია: საერთო წონის 5 პროცენტის დაკარგვა 1 თვის მანძილზე; საერთო წონის 10 პროცენტის დაკარგვა 6-12 თვის მანძილზე.

წონის უმიზეზოდ კლება შეიძლება ბევრი დაავადებისგან იყოს გამოწვეული. მათ შორისაა ფარისებრი ჯირკვლის გადაჭარბებული აქტიურობა (ჰიპოთირეოზი), დეპრესია, ღვიძლის დაავადებები და ასე შემდეგ.



2. ტემპერატურის გამუდმებული ზრდა – თუკი ნორმალური იმუნიტეტი გაქვთ, არ მკურნალობთ, მაგალითად, ქიმიოთერაპიით, ტემპერატურის ზრდა მთელი კვირის მანძილზე ან უფრო მეტხანს გრძელდება, ექიმთან მისვლისთვის საფუძველი ნამდვილად არსებობს, თანაც რაც შეიძლება სწრაფად.

მუდმივი ტემპერატურა შეიძლება გამცნობდეთ ფარული ინფექციების შესახებ – დაწყებული საშარდე გზების ინფექციიდან და ტუბერკულოზით დასრულებული. სხვა შემთხვევაში, მაღალ ტემპერატურას ისეთი ავთვისებიანი დაავადება იწვევს, როგორიც ლიმფომაა, თუმცა სავსებით შესაძლებელია, მიზეზი სხვადასხვა მედიკამენტიც იყოს.

3. ქოშინი – ცხვირის გაჭედვისა და ფიზიკური დატვირთვის გამორიცხვით, თუკი ქოშინი დაგჩემდათ, ესეც სერიოზული სიგნალია ორგანიზმისგან, რომ რაღაც წესრიგში არ უნდა იყოს. თუკი გრძნობთ, რომ არ გყოფნით ჰაერი, ჩასუნთქვა გიჭირთ და ასე შემდეგ, ექიმთან კონსულტაცია აუცილებელია. მიზეზი შეიძლება იყოს: ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, ქრონიკული ბრონქიტი, ასთმა, გულის პრობლემები, პანიკური შეტევები, პნევმონია, ტრომბი ფილტვებში და ასე შემდეგ.



4. კუჭის მუშაობის უეცარი ცვლილება – აუცილებლად მიაკითხეთ ექიმს, თუკი შემდეგ ცვლილებებს შენიშნავთ: ძლიერი ფაღარათი ორ კვირაზე მეტხანს; არცთუ ძლიერი ფაღარათი ერთ კვირაზე მეტხანს; კუჭის შეკრულობა ორ კვირაზე მეტხანს; სისხლიანი ფაღარათი.

5. ფსიქიკის ცვლილებები – თუკი შენიშნეთ, რომ გაქვთ აზროვნების უეცარი ან მუდმივი შეფერხება, დეზორიენტაცია, აგრესიული ქმედებების უეცარი შეტევები, ჰალუცინაციები, ორგანიზმი გამცნობთ, რომ ექიმთან მისვლის დროა და გადადება არაფრით შეიძლება.

ცვლილებები ფსიქიკასა და ქცევებში შეიძლება გამოწვეული იყოს თავის ტრავმისგან, ინსულტისგან, სისხლში შაქრის დაბალი დონით და ასე შემდეგ.

6. სუსტი ან ძლიერი თავის ტკივილები (განსაკუთრებით 50 წლის შემდეგ) – უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს: უეცარი ძლიერი თავის ტკივილი; თავის ტკივილები ტემპერატურის მატებასთან, გამონაყართან, გულის შეტევასთან, მხედველობის გაუარესებასთან ერთად; თავის ტკივილები ტრავმის ფონზე.



ჩამოთვლილი უსიამოვნებების მიზეზად სპეციალისტები ასახელებენ: ინსულტს, სისხლძარღვების ანთებას, მენინგიტს, ტვინის სიმსივნეს, ანევრიზმას ან თავის ტრავმის შემდეგ ფარულ სისხლდენას.

7. მხედველობის, მეტყველების ან სხეულის მოძრაობის კონტროლის დროებითი დაკარგვა – ასეთი სიმპტომები, ჩვეულებრივ, ინსულტის ან იშემიური შეტევებისგან ჩნდება. სასწრაფოდ მიაკითხეთ ექიმს, თუკი რაიმე მსგავსს გრძნობთ: უეცარი სისუსტე ან სახის, ხელის ან ფეხის გაშეშება სხეულის ერთ მხარეს; მხედველობის დროებითი დაკარგვა; უეცარი ძლიერი თავის ტკივილი; უეცარი თავბრუსხვევები და ორიენტაციის დარღვევა.

8. თვალებში განათება – თვალებში სინათლის უეცარი გამოვლენა ბადურას სერიოზული პრობლემების მომასწავებელია და სამედიცინო დახმარება აუცილებელია.

9. დანაყრების შეგრძნება მცირე საკვების მიღების დროს – დანაყრების შეგრძნება დროზე ადრე და გულისრევა, რომელიც კვირაზე მეტხანს გრძელდება, ორგანიზმის ნიშანია, რომელსაც ძალიან ბევრი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. მათ შორისაა კუჭქვეშა ჯირკვლის კიბო, კუჭის კიბო და ასევე, საკვერცხეების კიბო.

10. გახურებული, წითელი ან დასიებული ძარღვები – ეს საგანგაშო ნიშნები ძარღვების ინფექციას უკავშირდება და გადაუდებელი დახმარებაა აუცილებელი, რათა ბაქტერიებს გავრცელების საშუალება მოესპოს. გარდა ამისა, არსებობს სხვა მიზეზებიც. მაგალითად, ნიკრისის ქარი ან ართრიტის სახეობები.

დაბოლოს: ძალიან ხშირად სხვადასხვა ჩივილის მიზეზი შესაძლოა, უძილობაც გახდეს. მაგალითად, მას შეუძლია გამოიწვიოს ძარღვების პრობლემები, წელის ქრონიკული ტკივილები, ქრონიკული დაღლილობა, შრომისუნარიანობის დაქვეითება, აზროვნებისა და მეხსიერების გაუარესება. ამ უსიამოვნებების დაძლევაში კარგად შერჩეული ორთოპედიული მატრასი დაგეხმარებათ.

*obozrevatel.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



სასწორიდან ჩამოსულმა ქერამ აღფრთოვანებით შესძახა:

– რა მაგარია ეს ინტელექტის განვითარების კურსები: ბოლო თვეში ჩემი ტვინი კილო-ნახევრით დამძიმებულა...

*****

– ის, ვისაც ტვინი აქვს და კავშირები, ბიზნესში მიდის;

– ის, ვისაც ტვინი აქვს, მაგრამ კავშირები არა – მეცნიერებაში;

– ის, ვისაც კავშირები აქვს, მაგრამ ტვინი არა – პოლიტიკაში!.

*****

– თქვენ 14 შვილი გყავთ... ეს, ალბათ, ოჯახური ტრადიციაა, არა?

– არა! ჩვენი ტრადიცია სულ სხვა რაღაცას გულისხმობს, ბავშვები კი ამ ტრადიციის გვერდითი ეფექტია!..

ხელქვეითები შეფს ტელეფონზე ურეკავენ:

– კონსტანტინოვიჩ, 8 მარტს გილოცავთ!

– სულ გააფრინეთ? რომელი ქალი მე მნახეთ?!

– ქალი არა, მაგრამ მაგარი ბოზი კი ხარ...

*****



შეკითხვა სომხურ რადიოს:

– რა საერთოა მინი კაბასა და ჩადრს შორის?

– ერთიც და მეორეც შეუხედავ ქალებს სახის დამალვის საშუალებას აძლევს!

*****

ქმარი ცოლს:

– საყვარელო, ისეთი ალერსიანი ხარ, ისეთი ლამაზი, ისეთ გემრიელ საჭმელებს მიმზადებ...

– დღეს სექსი არ გვექნება!

– შე უმადურო! წვნიანი უგემური გამოგივიდა და უზარმაზარი საჯდომი გაქვს!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ჩინელებმა ავტომობილი... ფეხსაცმლისგან დაამზადეს



კარგად გათვლილი პიარაქცია ნებისმიერი კომპანიისთვის ჰაერივით საჭიროა, ალბათ, დაგვეთანხმებით. ჰოდა, ამ მიმართულებით ბევრი მართლაც ძალიან უცნაურ გზას მიმართავს და ასე მოხდა ჩინელების შემთხვევაშიც.

როგორც ირკვევა, ფეხსაცმელების მწარმოებელმა ჩინურმა კომპანიამ „კენგ შუმ“ პიარკამპანიის ფარგლებში ფეხსაცმელ-ელექტრომობილი გამოუშვა.

ავტომობილის პრეზენტაცია კომპანიის სათავო ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა და უდიდესი მოწონებაც დაიმსახურა.

ელექტრომობილის ძარა, თავის თავში, ტყავის ფეხსაცმელს წარმოადგენს, რომელიც კომპანიის წარმომადგენლების განმარტებით იმავე ტექნოლოგიით დამზადდა, როგორითაც ჩვეულებრივი ფეხსაცმელები იკერება. სხვაობა კი მხოლოდ ზომაში გახლავთ.

ფეხსაცმელ-ელექტრომობილის სიგრძე 3 მეტრია, სიგანე კი – 1 მეტრი. როგორია მისი მოტორის მონაცემები, სამწუხაროდ, არ ზუსტდება, თუმცა შეგვიძლია გითხრათ, რომ ბოლომდე დატენილი ელემენტებით მას 35 კილომეტრ/საათის სიჩქარით 400 კილომეტრის მანძილის დაფარვა შეუძლია.

უახლოეს მომავალში „კენგ შუ“ კიდევ 40 ფეხსაცმელ-ელექტრომობილს გამოუშვებს და მათ ქვეყნის მასშტაბით ყველა მაღაზიაში დაგზავნის.

*lenta.ru*

## ნანოსადენებისგან მეცნიერებმა ადამიანის კანი შექმნეს



ისე ვითარდება მოვლენები, რომ არცთუ შორეულ მომავალში დაშავებულ ადამიანებს დონორები სულაც აღარ დასჭირდებათ, რადგან ლამის ყველაფრის ხელოვნური ასლი იქმნება. დავამატებთ იმასაც, რომ ხელოვნური კანის შექმნაზე მუშაობა უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს და გარკვეული წარმატებები არსებობს კიდეც. რაც შეეხება სიახლეს, ის ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს, რადგან დღემდე ასეთი სრულყოფილი ხელოვნური კანის შექმნა ვერავინ შეძლო.

საუბარია კალიფორნიის უნივერსიტეტის სპეციალისტების მიღწევაზე, რომელთა მიერ ნანოსადენებისგან შექმნილი ხელოვნური კანის მგრძნობელობა ადამიანის კანისას, ფაქტობრივად, არაფრით ჩამოუვარდება.

სიახლის ავტორების მტკიცებით, მათ ტექნოლოგიას ძალიან ბევრი პლუსი აქვს დღეისთვის არსებულ ანალოგებთან მიმართებაში, მაგალითად, ხელოვნურ კანს, როგორც წესი, ორგანული მასალებისგან ამზადებენ, რომელიც არცთუ ძლიერი და გამძლეა, რაც შეეხება ნანომასალისგან მიღებულ კანს, კალიფორნიის უნივერსიტეტში გარანტიას იძლევიან, რომ ის მინიმუმ 50 წელი გაძლებს.

ჯერჯერობით ხელოვნური კანი პრაქტიკაში არავის გამოუყენებია, თუმცა ამდენი გამოგონების მიზანი, ალბათ, სწორედ ის არის, რომ სულ მალე ის პლასტიკური ოპერაციების აუცილებელი ატრიბუტი გახდება.

*tainamira.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**25 მარტი:** იღბალი თქვენს მხარეს იქნება, მაგრამ არ ელოდოთ, რომ ყველაფერს მზამზარეულს მოგართმევენ. თქვენც უნდა გაანძრიოთ ხელი.

**კურო 22.04-21.05**
**25 მარტი:** დღეს საბოლოო გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ, ჯერ ადრეა. ჯერ ყველა დეტალი არ იცით და შეიძლება მნიშვნელოვანი რამე გამოგრჩეთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**25 მარტი:** დღეს თუ საყიდლებზე წახვალთ, პირველ რიგში ის შეიძინეთ, რაც ყველაზე მეტად გჭირდებათ. შეიძლება ყველაფერზე ფული არ გეყოთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**25 მარტი:** კარგად უნდა გაარჩიოთ ერთმანეთისგან, ვის სჭირდება დახმარება და ვინ ცდილობს თავისი საქმის თქვენთვის შეჩეჩებას. ვიღაცა კისერზე მოგაჯდათ.

**ლომი 23.07-22.08**
**25 მარტი:** შეიძლება დღეს ნახოთ რაღაცა, რასაც რაციონალურ ახსნას ვერ მოუძებნით. არ შეშინდეთ, პასუხს მოგვიანებით გაიგებთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**25 მარტი:** შეიძლება დღეს რაღაც იდეები გაგიჩნდეთ. არ შეიზღუდოთ ფანტაზიებში, შეიძლება რაღაც საინტერესო გამოიგონოთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**25 მარტი:** სანამ რაიმე ზღვარს გადაკვეთთ, დროულად შეჩერდით. შეიძლება რაღაცას უდიერად ფლანგავთ. საქმე სანანებლად არ გაიხადოთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**25 მარტი:** დღეს განსაკუთრებულად პატიოსანი უნდა იყოთ ყველას მიმართ, განსაკუთრებით, საკუთარ თავთან.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**25 მარტი:** შეიძლება დღეს ზომაზე მეტად ილაპარაკოთ. ფრთხილად, მტერს არ სძინავს. ვიღაცა ძალიან არის დაინტერესებული თქვენი ბევრი ლაპარაკით.

**თხის რქა 22.12-19.01**
**25 მარტი:** დღეს კარგად მოისმინეთ, რას გეუბნებათ თანამოსაუბრე. შეიძლება განზოგადებული ლაპარაკით ის ცდილობს, თქვენთვის მნიშვნელოვანი რამ გითხრათ.

**მერწყული 20.01-18.02**
**25 მარტი:** თქვენს აზრებს დღეს არავინ გაითვალისწინებს. თუ გინდათ, რომ ყური დაგიგდონ, სათქმელი მოგვიანებით გააჟღერეთ.

**თევზები 19.02-20.03**
**25 მარტი:** დღეს წინა პლანზე ფინანსური პრობლემები წამოიწევს, რაც შეიძლება თქვენთვის სიახლე არც იყოს, მაგრამ გაღიზიანდებით.

## გერმანელი რადიომსმენელებისთვის გათამაშდება თანხა... მათი დაკრძალვისთვის



ალბათ, გერმანელ რადიომსმენელებს იმასაც ჰკითხავენ, როგორი ქანდაკება ურჩევნიათ, რომელსაც მათ საფლავზე დადგამენ: „ხმლით ხელში თუ წურბელებით კისერზე“...

მართლაც რომ უცნაური იდეა მოუვიდათ თავში ბავარიული „რადიო გალაქსის“ მესვეურებს, რომელმაც გამოაცხადეს კონკურსი საუკეთესო ეპიტაფიის მოგონებისთვის და რომლის გამარჯვებულსაც რადიო... დაკრძალვას დაუფინანსებს.

კონკურსის პირობების თანახმად, ყველაზე კრეატიული ეპიტაფიისთვის გამარჯვებული 3 ათას ევროს მიიღებს, რაც, სავარაუდოდ, მისივე სარიტუალო მომსახურებისთვის სრულიად საკმარისი იქნება.

წარსულის გათვალისწინებით, ალბათ, არ გაგიკვირდებათ, რომ ძალიან ბევრმა ადამიანმა ეს უცნაური იდეაც აიტაცა და კონკურსში უკვე 600-ზე მეტი ეპიტაფიის ვარიანტია შესული.



პოპულარობის გარდა, კონკურსს უკმაყოფილებაც მოჰყვა – „რადიო გალაქსის“ იდეას ამორალური და კანონსაწინააღმდეგო უწოდა გერმანიის დამკრძალავ ბიუროთა ასოციაციამ და სასამართლოს მიმართა.

თავის მხრივ, რადიოს წარმომადგენლები კონკურსს იუმორით უდგებიან და ყველას ამისკენ მოუწოდებენ. ასევე, ისინი იხსენებენ, რომ, მაგალითად, უინსტონ ჩერჩილის საფლავის ქვაზე შემდეგი ეპიტაფიაა დატანილი: „მზად ვარ უფალთან შეხვედრისთვის, მაგრამ სხვა საქმეა, ღმერთი თუა მზად, მე რომ შემხვდეს“. ირლანდიელი მწერლისა და კომიკოსის ეპიტაფიაა: „ხომ გეუბნებოდით, რომ ცუდად ვარ!“. დაბოლოს: როგორც ამბობენ, ფრენკ სინატრას საფლავის ქვაზე წერია: „ყველაფერი კარგი წინ არის“...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*sostav.ru*



სექსოპათოლოგმა მორიგი პაციენტი მიიღო:
– ექიმო, ძალიან სერიოზული სექსუალური პრობლემები მაქვს!
– და რაში გამოიხატება ეს პრობლემები?
– საქმე ისაა, რომ ყველა ქალი, ვისთანაც სექსი მაქვს, ყვირის...
– და ეგ პრობლემა კი არა, ძალიან კარგი შედეგია!
– ჰო, მაგრამ ყველა რომ ზუსტად ერთნაირად ყვირის?
– ???
– მიშველეთ, მაუპატიურებენ!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

## ვაკანსიები!!!

გაზეთი ალია

სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს. ანაზღაურება 800 ლარი.

ასევე, გამოცდილ ჟურნალისტებს.

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია ≫211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.25